CIAN MAGENTA YALLOW BLACK

ალია

# საჯარო სამსახურში მიღების წესები იცვლება

N100/3030/ 2 ივლისი 2014 წ PRESS ფასი 1 ლარი
ორშაბათი ქრონიკა სამშაბათი ალია ოთხშაბათი ალია ხუთშაბათი ალია პარასკევი ალია
WWW.ALIA.GE

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალა... რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდ...

## სოსო ჯაჭვლიანი:

## „ეს ყველას უნდა შევახსენო და ყველას სახეში ვურტყა!“



„სააკაშვილი რომ უკრაინიდან გაჰკიოდა, ღარიბაშვილს თეთრი სახლიდან მისცეს მითითება, სააკაშვილს ხელი არ დაადოთო, სარკოზის შემთხვევაში რატომ არის მსოფლიო დადუმებული?“

სანომრე ნიშნებთან ერთად ავტომანქანის ნომრების დაჯავშნის წესიც იცვლება

რას მოუტანს საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირთა დაცვის კონვენციასთან მიერთება?



## მამა ელიზბარი:

## „ანტიდისკრიმინაციულ კანონს რომ 112 კაცმა მოაწერა ხელი და შენ სინოდის კრებაზე რომ შეცვალე აზრი, თუმცა პატრიარქი ბრძანებდა, არ მოაწეროთ ხელიო...“



„ევროკავშირში გვინდა შესვლა? ჯერ არსად წამიკითხავს, ერს ასე ეზეიმოს გაუპატიურება! რა გეზეიმება, ქვეყნის დაქცევას რომ მომიწერეს ხელი? და ზუსტად ამიტომ ვტოვებ ამ ქვეყანას. ამ ზნედაცემული ხალხის ქვეყანაში ცხოვრებას არ ვაპირებ“

## მადლობა სამართლიანობისთვის ბრძოლაში ერთგულებისთვის!

შემოწირულობა ანგარიშზე შეიტანეს:

1. შპს სტამბა „ტორის“ ხელმძღვანელმა ნუკრი დოლიძემ – 1000 ლარი; 2. ჰომეოპათმა კახა საბახტარიშვილმა – 100 ლარი, 3. ტარიელ თაბაგარი – 3 ლარი, 4. ადვოკატი გურამ გვენცაძე – 100 ლარი, 5. დავით მამუკაშვილი – 1 ლარი, 6. მერაბ ომიაძე – 1 ლარი, 7. „ახალგაზრდა ადვოკატები“ – 100 ლარი, 8. „ტოიოტა-ცენტრის“ ხელმძღვანელი ირაკლი გურჩიანი – 1500 ლარი, 9. ირაკლი ქავთარაძე – 49 ლარი; 10. ოთარ ჯანდიერი – 10 ლარი; 11. ნათელა მაღლაკელიძე – 50 ლარი; 12. ს/ს „გურმანი“ – 50 ლარი; 13. ენრიკო იაკობაშვილი – 1000; 14. ზესიკი ადამია – 5; 15. ანა იმნაიშვილი – 5; 16. ჯიბუტი – 10; 17. დიმიტრი-ელენე-ენვერ ენდელაძე – 3; 18. რიმა გოჩიაშვილი – 50, 19. გელა სულაბერიძე – 2, 20. სერგო მწითურიძე – 100. 21. თამარ მდივნიშვილი – 5. 22. იოსებ ვაშაკიძე – 5, 23. ირინე ტატუნიშვილი – 5, 24. ნუკრი რევიშვილი – 10, 25. ამერიკული ჰუმანიტარული უნივერსიტეტის თბილისის ფილიალი – 500, 26. მანანა ვახტანგაძე, რევაზ ფახურიძე – 1, 27. ამხანაგობა საადვოკატო ბიურო მიგრიაული და პარტნიორები – 70, 28. ვასილ მეტრეველი – 10, 29. ლაერტი ზუბადალაშვილი – 100, 30. ჯუმბერ ტაგანაშვილი – 10, 31. შპს „ნილი“ – 50; 32. მამუკა კაკუშაძე 20; 33. ჩანჩალაშვილი აბრამი – 300, 34. მედიაჰოლდინგი „ჯორჯიან ტაიმსი“ – 100, 35. ნოდარ ბუღაძე – 50, 36. ჯემალ ალანია – 3, 37. დავლოსტი გობეჯიშვილი – 30; 38. ზუბერ ავალიანი – 10; 39. გიზო ფაცია – 1000; 40. ზურაბ გუნია – 100; 41. 42. თამრიკო ფაცია – 100; 43. თეა იაკობიძე – 100; 44. მერაბ სარია – 300; 45. მარინე კანდელაკი – 5; 46. შორენა გოშუა – 5; 47. ხელვაჩაური პურპროდუქტები – 150; 48. ცისანა ქირია – 10; 49. ტარიელ ოთიაშვილი – 10; 50. ელისო შიხიაშვილი – 50; 51. ლევან ბანეთიშვილი – 300; 52. ელეონორა ბექაური –10; 53. დავით ჭაქვაძე – 190; 54. ციალა თოფურია – 100; 55. მარიკა ჯაჯანაშვილი – 2, 56. დიმიტრი ტიკარაძე – 250, 57. შპს „პირველი“ – 250, 58. ამირან იაკობიძე – 100, 59. ომარ გოცაძე – 20, 60. ქეთევან ძოწენიძე – 3. 61. მედეა სალდაძე – 10; 62. ვაჟა გელბახიანი – 30.

სპეციალური ანგარიში „თიბისი ბანკში“ GE30TB7568636020100001

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## კობა ბექაური კოდუების ოჯახს ბიზნესის წართმევაში ადანაშაულებს



ყოფილი პარლამენტარი კობა ბექაური კოდუების ოჯახს ბიზნესის წართმევაში ადანაშაულებს. მისი თქმით, ტერმინალი „ოპიზა“ კოდუებმა ზეწოლის შედეგად გააყიდვინეს და ტერმინალის ტერიტორიაზე სამკერვალო ფაბრიკა გახსნეს.

„როდესაც მე პარლამენტიდან წამოვედი, საკუთარი ბიზნესი მქონდა. ეხლა ვის აქვს ეს ბიზნესი? ვის უნდოდა ამ ბიზნესის ხელში ჩაგდება, ეს ცნობილია. ისიც ცნობილია, ვინ ზის ეხლა იმ ტერიტორიაზე. ის ტერიტორია ლაურა კოდუამ იყიდა და ეხლა იმ ტერიტორიაზე სამკერვალო ფაბრიკაა გახსნილი. მაშინ პირდაპირი მოთხოვნა იყო, რომ ლაურას უნდოდა ამ ტერიტორიის ყიდვა. მე დამიკავშირდნენ კოდუები. ძალით შეიძინეს ეს ყველაფერი და შემდეგ ეს ტერმინალი გაუქმდა. დღეს ეს ტერიტორია ლაურას საკუთრებაა“, – განაცხადა ბექაურმა. (ნიუპოსტი)



## „ორი თაღლითი იყო ქვეყანაში და ორივე უგულავას წინააღმდეგ იყო გამოყენებული“

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრი ირმა ნადირაშვილი გიგი უგულავასთვის ახალი ბრალდების წარდგენას პოლიტიკურ დევნად აფასებს.

„ვფიქრობ, უგულავასთვის ვის შეხვედროდა და ვის არა, სასამართლოს არ აუკრძალავს. არ მოერიდა ქვეყნის ხელისუფლება, რომ არჩევნები არ არის დასრულებული. გიგი უგულავა არის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი და მას შეუქმნეს პრობლემები, რომ არ გასულიყო ქვეყნიდან. რა თქმა უნდა, ამას ვაფასებ, როგორც პოლიტიკურ დევნად. ამ ეჭვს კიდევ უფრო მიმყარებს ის ფაქტი, რომ მთავარი მოწმე არის კობა ბექაური. სულ ორი თაღლითი იყო ქვეყანაში – ჟოზეფ ქეი და კობა ბექაური და ორივე გიგი უგულავას წინააღმდეგ იყო გამოყენებული. თვითონ „სითი პარკის“ თანამშრომლები კი დაკითხულები არ არიან. არანაირი ბრალი მათ წინააღმდეგ წარდგენილი არ არის. არის საუბარი, რომ გიგი უგულავა შეკრული იყო „სითი პარკთან“, რაღაც კოდები შექმნა და ასე შემდეგ. თუკი ერთი მხარე დაიკითხა, მეორე მხარეც ხომ უნდა იყოს დაკითხული?!“, – განაცხადა ნადირაშვილმა. (ნიუპოსტი)

## „ირმა ნადირაშვილს ჩანთაში 350 ათასი ედო“



საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებთან დაკავშირებით აზერბაიჯანის აეროპორტში მომხდარ ინციდენტს იხსენებს. კალაძის განცხადებით, ირმა ნადირაშვილსა და ზურაბ ჯაფარიძეს აზერბაიჯანიდან ნამდვილად გადმოჰქონდათ შავი ფული, თუმცა, გარკვეული მნიშვნელოვანი მიზეზების გამო ეს თემა აღარ იქნა გამოძიებული.

„ჩვენ რეალობაზე დაყრდნობილი ინფორმაცია მივაწოდეთ საზოგადოებას, ნადირაშვილი 4 საათის განმავლობაში მართლაც იყო დაკავებული, მას და ბატონ ჯაფარიძეს მოჰქონდათ შავი ფული, ნადირაშვილს 350 ათასი ედო ჩანთაში. ეს ყველაფერი მიჩუმათდა, რადგან აქ იყო სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების თემა, ჩვენც არ მივყევით ბოლომდე, გარკვეული მნიშვნელოვანი თემების გამო.

ბატონმა ჯაფარიძემ განაცხადა, რომ იმყოფებოდნენ აზერბაიჯანში და განიხილავდნენ გარდაბანში და მარნეულში მიმდინარე მოვლენებს. ჩვენ ჩვენი კანდიდატი მარნეულში იმიტომ მოვხსენით, რომ გვქონდა ინფორმაცია „ნაციონალური მოძრაობა“ ეთნიკური ნიადაგის საფუძველზე არეულობის მოწყობას გეგმავდა“, – განაცხადა კალაძემ. (ნიუპოსტი)

## რა რაოდენობის შემოწირულობები მიიღეს პარტიებმა არჩევნების შემდეგ

პოლიტიკური პარტიების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის სამსახურის ინფორმაციით, 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ, ყველაზე მეტი ფულადი შემოწირულობა „ქართულ ოცნებას“ და „საქართველოს პატრიოტთა ალიანსს“ აქვთ მიღებული. უწყების ცნობით, 2014 წლის 13 ივნისიდან 30 ივნისის ჩათვლით პერიოდში, პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველომ“ შემოწირულობის სახით 243 022.00 ლარი, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსმა“ – 51 008.50 ლარი, „ნაციონალურ მოძრაობამ“ კი 24 020.00 ლარის ოდენობის შემოწირულობა მიიღო. რაც შეეხება სხვა პარტიების შემოწირულობას, 13 ივნისიდან 30 ივნისის ჩათვლით პერიოდში, მათ შემოწირულობის სახით ჯამში 335 071.66 ლარი მიიღეს. „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობამ“ – 8 731.16 ლარი; „საქართველოს გზამ“ – 6 900.00 ლარი; „ხალხის პარტიამ“ – 1 000.00 ლარი; „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველომ“ – 300.00 ლარი, „მწვანეთა პარტიამ“ კი – 90.00 ლარი მიიღეს. (პირველი რადიო)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „ბექაურს რამიშვილთან ფარული კამერა გიგი უგულავამ დაუმაგრა“



ვიცე-პრემიერ კახი კალაძის განცხადებით, გიგი უგულავას სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას არჩევნებთან არანაირი კავშირი არ აქვს. მისი თქმით, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა „ნაციონალური მოძრაობის“ შტაბის ხელმძღვანელს წინასაარჩევნო კამპანიის წარმოებაში ხელს არ შეუშლის.

„ასოცირების ხელშეკრულებასთან არავითარი კავშირი არ აქვს უგულავას ბრალის დამძიმებას, ეს არის საგამოძიებო უწყებების კომპეტენცია, ძალიან ბევრი კითხვა არსებობს ამ ადამიანის მიმართ, გამოძიება სხვადასხვა მიმართულებით მიმდინარეობს, როცა მორატორიუმის ვადა ამოიწურება, გაგრძელდება გამოძიება, კითხვები არსებობს კონკრეტულ პიროვნებებთან, ვისაც დანაშაული აქვს ჩადენილი აუცილებლად აგებს პასუხს კანონის წინაშე.

არავითარი პრობლემა არ არსებობს იმისა, რომ უგულავამ თავის გუნდთან ერთად აწარმოოს საარჩევნო კამპანია, მას უბრალოდ დაემატა ახალი ბრალი. მე მოვისმინე უგულავას განცხადებები, თითქოს მთავარ მოწმესთან დაკავშირებით გაკვირვებული იყო, ჩვენ გვახსოვს ბატონი რამიშვილი რომ დააკავეს, ბექაურს ჰკითხეთ, ვინ დაუმაგრა კამერა მაშინ, როდესაც რამიშვილთან მიდიოდა, ეს იყო გიგი უგულავა.

არავითარი კავშირი არ აქვს არჩევნებთან ამ გადაწყვეტილებას, პროკურატურა დამოუკიდებელი უწყებაა, რატომ უნდა წავიდეთ ამ გზით, როცა „ქართულმა ოცნებამ“ პრაქტიკულად ყველგან გაიმარჯვა, რაიონებში, ქალაქებში ყველგან ლიდერობს „ქართული ოცნების“ კანდიდატები, მთელი ქვეყნის მასშტაბით „ნაციონალურ მოძრაობას“ 54 მაჟორიტარი დეპუტატი ჰყავს, ეს არის ის პასუხი, რომელიც ქართველმა ამომრჩეველმა გასცა „ნაციონალურ მოძრაობას“.

პოლიტიკური დევნა „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან ისმის ძალიან ხშირად კონკრეტულ პირებზე, რომლებსაც დანაშაულები აქვთ ჩადენილი, არსებობს ძალიან ბევრი კითხვა, მე მინდა სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო, აუცილებლად ყველა კითხვაზე მოუწევთ პასუხის გაცემა, ეს ყველაფერი იქნება გამჭვირვალე, მე მესმის საზოგადოების, მათ სურთ ეს ყველაფერი დაჩქარდეს და ეს ადამიანები პასუხისგებაში მიეცნენ, ეს პროცესი ძალიან მალე დაიწყება.

ჩვენი სურვილია, რაც შეიძლება მალე დაიწყოს ეს პროცესები, ამას ითხოვს საზოგადოება და ამას ითხოვს ხალხი. ჩვენ თუ ეს ყველაფერი გავატარეთ და თვალი დავხუჭეთ, ხვალ იგივე გაგრძელდება, მე არ ვიცი დაჭერების სერია დაიწყება თუ არა, მე შესაბამის ორგანოებს ვთხოვ, დააჩქაროს ეს პროცესი, ანუ სამართლიანობის აღდგენა“, – განაცხადა კალაძემ. (ნიუპოსტი)

## „ქართული ოცნების“ ზუგდიდის საარჩევნო შტაბის უფროსის მოადგილეს ბრალი დაუმძიმდა




ვალიკო აბსანძეს ბრალი დაუმძიმდა და საბოლოოდ ოფიციალურად ორი მუხლით წარედგინა. საქმე იარაღის გამოყენებით ჩადენილი ხულიგნობის მუხლით აღიძრა, თუმცა აბსანძეს 236-ე მუხლის 1 და მეორე ნაწილებიც დაემატა, რაც იარაღის უკანონო შეძენა-შენახვასა და ტარებას გულისხმობს.

აბსანძის ადვოკატის განცხადებით, ვინაიდან დაკავებული გამოძიებასთან თანამშრომლობს და ბრალს აღიარებს, დაცვის მხარე სასამართლოში მის მიმართ არასაპატიმრო აღმკვეთი ღონისძიების გამოყენებას მოითხოვს.

„ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი ბრალს აღიარებს და გამოძიებასთან თანამშრომლობს, რაც საფუძველს გვაძლევს სასამართლოს მის მიმართ არასაპატიმრო აღმკვეთი ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით მივმართოთ“, – აცხადებს დემურ სოტკილავა.

პროკურატურა სასამართლოში აბსანძის მიმართ აღმკვეთ ღონისძიებად საპატიმრო გირაოს გამოყენების მოთხოვნით უკვე შევიდა. კერძოდ კი, საგამოძიებო უწყება აბსანძის მხრიდან 7 ათასი ლარის გირაოს გადახდას ითხოვს, რის საფუძველზეც, სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებამდე აბსანძე განთავისუფლდება.

შეგახსენებთ, რომ ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა ვალიკო აბსანძემ 29 ივნისს განმეორებითი კენჭისყრის დასრულების შემდეგ, გამარჯვების აღსანიშნავად ანაკლიის 32-ე უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე ჰაერში რამდენჯერმე გაისროლა. (ფრონტნიუსი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



**საკაშვილ-კუბლაშვილის ე.წ. სასამართლო გადაწყვეტილებებმა ჩვენთვის ფარსად, ტაკიმასხრობად აქცია სამართლიანობის პროცესი. როგორი მართალიც არ უნდა იყო, სასამართლო სპექტაკლებში მონაწილეობის შედეგი ისევ უსამართლობა იქნება, აზრს კარგავს ამ ჯამბაზობაში, თუ უარესი არა – აღვირახსნილ, უზნეო, ამორალურ შურისმაძიებელ სპექტაკლებში მონაწილეობა. გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“, პროტესტის ნიშნად, აცილებას აძლევენ სასამართლო ხელისუფლებას და არანაირ მონაწილეობას აღარ მიიღებენ საკაშვილ-კუბლაშვილის უზნეო, უსამართლო ე.წ. სასამართლო პროცესში, სანამ სასამართლო სისტემა არ შეიცვლება და არ გაიწმინდება უზნეო მონა მოსამართლეებისგან, რადგან ახლა აზრი არ აქვს, რა მტკიცებულებებს დადებ და ვის წარადგენ მოწმეებად პროცესზე. „ოცნების“ ხელისუფლება საზოგადოებას დაჰპირდა, რომ არჩევნების შემდეგ დაამთავრებდა „ნაცმოძრაობას“. დაიწყეთ ეს ბოროტების იმ ბუდიდან, რომელსაც „ნაციონალი“ საკაშვილ-კუბლაშვილის სასამართლო ჰქვია.**

**„ალია“-„ქრონიკა“**

# სოსო ჯაჭვლიანი: „ეს ყველას უნდა შევახსენო და ყველას სახეში ვურტყა!“



**საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, სოსო ჯაჭვლიანი სკანდალური განცხადებების სერიას განაგრძობს. როგორც თავად ამბობს „ალიასთან“ საუბარში, თუ მეორე ტურის ჩამთავრებისთანავე არ დაიწყება სამართლიანობის აღდგენა ფორსირებულ რეჟიმში, მაშინ ჩათვლის, რომ დამნაშავეებს ვიღაცები ხელს აფარებენ და აუცილებლად დაიწყება კინო. რასაც დღეს ის ლაპარაკობს, არის მხოლოდ ჟურნალი.**

**— სოსო, საუბარი დავიწყოთ, რა მოხდა იმ სკანდალური ინტერვიუს შემდეგ, რომელიც „ალიაში“ გამოქვეყნდა წინა კვირას. ამიხსენი, რამე შეიცვალა კოალიციაში, ამ თემაზე იქ საუბარი იყო?**

– მე ვფიქრობ, გუნდური თამაში არის უპირველესი. როცა ქვეყანაზეა ლაპარაკი, თუ გუნდურს არ ითამაშებ, არაფერი არ გამოგივა.

**— შენ შენი სათქმელი თქვი გულახდილად, ეს ყველაფერი სკანდალური იმიტომ გამოდგა, რომ შიგნით ხარ და იქიდან ილაპარაკე სიმართლე. მაინტერესებს, ამას რაიმე სახის რეაქცია მოჰყვა კოალიციაში?**

– მე წინა ინტერვიუში მოგიყვანე მაგალითი, რას აკეთებდა ერთი ჩვენი დიდი რეჟისორი, თენგიზ აბულაძე. მან იმიტომ გადაიღო გენიალური ფილმი – „ნატვრის ხე“, რომ გუნდის თითოეულ წევრს თვლიდა გენიოსად და ცდილობდა, ეს გუნდი ყოფილიყო შედუღაბებული. კიდევ ვიმეორებ, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი. ახლა ჩვენს გუნდს რომ გადავხედოთ, თითოეულ წევრს გულწრფელად პატივს ვცემ, მაგრამ როცა ზოგიერთი შეგნებულად ან შეუგნებლად აკეთებს რაღაცას, რაც გუნდურობას ვნებს, მაშინ მიჩნდება ჩემი აზრი და ამიტომაც იყო წინა ინტერვიუ ასეთი. მე არ მინდა, ის გავიმეორო, რაზეც ჩვენ უკვე ვისაუბრეთ. ხომ კარგია, როცა რამე არ იცი, შენი გუნდის წევრს ჰკითხავ, მოგიწონებს, არ დაგაკომპლექსებს და აგიხსნის. ახლა მინდა, კიდევ ერთი მაგალითი მოგიყვანო: იყო ასეთი ქვეყანა, საბჭოთა კავშირი. თავისუფალ ჭიდაობაში ამ ქვეყანას ჰყავდა ნაკრები. ლევან თედიაშვილი ყველამ ვიცით, რომელიც ჭიდაობდა 100 კილოგრამში. ამ წონაში ნაკრების ხელმძღვანელობას მარტო ერთი კაცი უნდა დაეყენებინა. ლევან თედიაშვილი რომ დაეყენებინათ, მსოფლიო ჩემპიონატს მოიგებდა, ილია მატე რომ დაეყენებინათ, ისიც მოიგებდა. მერე იყვნენ ბისულტანოვი, ყურაშვილი, მემანიშვილი და კიდევ რამდენიმე კაცი, ესენიც მოიგებდნენ, მაგრამ პირველთა შორის პირველი მაინც იყო ლევან თედიაშვილი. ახლა გადმოვიდეთ ჩვენს სინამდვილეში, გუნდი აყენებს ისეთ ადამიანს, რომელიც არის მე-5 ან მე-9 ნომერი. გუნდმა იცის, რომ ის მაინც მოიგებს, მაგრამ პირველიდან მე-9 ნომრამდე ვინც არის, ყველა იბოლმება. შე კაი კაცო, თუ დაყენებაა, პირველი ნომერი დაგეყენებინა, ასე ხომ თედიაშვილიც დაიბოლმა და ბისულტანოვიც? მეტიც, მაგათი გარემოცვაც დაიბოლმა, „სასტავიც“ დაიბოლმა და აირია მონასტერი. ჩვენ მივიღეთ შედეგად რა? გაბრაზებულ-დაბოლმილი ხალხი და 100 კაციდან არჩევნებზე მოვიდა 30 კაცი. ყველაფერი სწორად ავხსენი?

**— დიახ, როგორც მე გავიგე, კოალიციას ვინც არ უნდა დაეყენებინა თბილისის მერობის კანდიდატად, ყველა გაიმარჯვებდა, მაგრამ დააყენეს ნარმანია, რომელიც არის მე-9 ნომერი გუნდში.**

– ჰოდა, 100 კაციდან 30 რომ მოვიდა, „ნაცმოძრაობამ“, როგორც სექტამ, ხომ გაიხარა? აღარაფერს ვამბობ სხვა პრობლემებზე. თუ გუნდი დააყენებდა ღირსეული ადამიანების კანდიდატურებს, მაშინ „ნაციონალები“ მიიღებდნენ ძალიან დაბალ პროცენტს. აი, ამიტომ მაქვს მე გულში ხინჯი, ძალიან ცუდად ვიგრძენი

*გაგრძელება მე-4 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## უკრაინელ, ქართველ და მოლდაველ ხალხს მხარს გავუმაგრებთო



სენატორმა ქრის მერფმა და სენატის საგარეო საქმეთა ევროპულ საქმეთა ქვეკომიტეტის თავმჯდომარემ რონ ჯონსონმა საქართველოს, უკრაინასა და მოლდოვას ასოცირების ხელშეკრულების გაფორმება მიულოცეს.

„ეს ხელშეკრულება აღრმავებს, სავაჭრო-ეკონომიკურ და პოლიტიკურ კავშირებს ევროკავშირთან, რაც ინვესტორებისთვის დამატებითი სტიმული იქნება. უკრაინამ, საქართველომ და მოლდოვამ ბევრი გააკეთეს, რომ თავიანთი ქვეყნები კიდევ უფრო მიეახლოებინათ ევროპულ სტანდარტებთან, იქნება ეს მართლმსაჯულებაში, მედიის თავისუფლების კუთხით, რეფორმებით საარჩევნო კოდექსში, გარემოს დაცვის საკითხებში, ადამიანის უფლებების დაცვაში თუ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში. აშშ მხარს უჭერს ამ ხელშეკრულებას, რომელიც საწინდარია ძლიერი და მტკიცე დემოკრატიისა. მაშინ როდესაც უდავოა, რომ ეს ქვეყნები კვლავ განიცდიან სირთულეებსა და ზეწოლას მოსკოვის მხრიდან, ჩვენი კონგრესი ყოველმხრივ შეეცდება მხარი გაუმაგროს უკრაინელ, ქართველ და მოლდაველ ხალხს, რადგან მათ გამოხატეს თავიანთი მტკიცე სურვილი, დაუახლოვდნენ ევროკავშირსა და აშშ-ს“, – ნათქვამია სენატორების განცხადებაში. (ნიუპოსტი)

## სამხედრო-სავალდებულო სამსახურში საგაზაფხულო გაწვევა დასრულდა



2014 წლის საგაზაფხულო გაწვევის პერიოდში სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვეულია 2582 წვევამდელი, რითაც მთლიანად დაკმაყოფილდა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის (782), თავდაცვისა (600) და შინაგან საქმეთა სამინისტროების (1200) მოთხოვნები.

წინასაარჩევნო პერიოდის მიუხედავად, წვევამდელთა წინსწრებით ჩარიცხვებისა და გაწვევის პროცესი წარმატებით განხორციელდა, რასაც საკოორდინაციო ჯგუფის ორგანიზებულმა მუშაობამ შეუწყო ხელი.

ამ დროისთვის, სამხედრო სავალდებულო სამსახურში საგაზაფხულო გაწვევა უკვე დასრულებულია. საშემოდგომო გაწვევისთვის მზადება კი ივლისის ბოლოს დაიწყება. წვევამდელების გაწვევა განხორციელდება იმ ტერიტორიულ ერთეულებშიც, რომელიც ახალი თვითმმართველობის კოდექსის ამოქმედების შემდეგ შეიქმნა. სამხედრო სავალდებულო სამსახურში საშემოდგომო გაწვევა მიმდინარე წლის აგვისტოში დაიწყება. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ჭიაბერაშვილმა უწყებათაშორისი კომისიის სხდომა პროტესტის ნიშნად დატოვა



„ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ზურაბ ჭაბერაშვილმა უწყებათაშორისი კომისიის სხდომა პროტესტის ნიშნად დატოვა. მისი განმარტებით, სხდომაზე პროკურატურის მხრიდან „ცინიზმით სავსე და უსუსური“ განმარტებები მიიღო.

„უწყებათაშორისი კომისიის სხდომა პროტესტის ნიშნად დავტოვე. მთელი ამ ხნის განმავლობაში ყველა სხდომაზე ვცდილობდით, მოგვესმინა ადეკვატური განმარტება როგორც კომისიისგან, ისე იუსტიციის მინისტრისგან. სამწუხაროდ, ხდება ერთი და იგივე რამ – პროკურატურის უკანონო ქმედებების გამართლება აბსოლუტურად ცინიკური მეთოდით. იგივე მოხდა, როდესაც ჩვენ ვსაუბრობდით გიგი უგულავას ფინანსურ პოლიციაში დაბარებასა და მისთვის ბრალის წარდგენაზე, რაზეც კომისიაში აღიარეს, რომ ეს მორატორიუმის პირობების დარღვევა იყო. განსაკუთრებით მძიმე იყო იმის მოსმენა, როგორი განმარტება გააკეთა პროკურატურამ დედოფლისწყაროში მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, როცა 71 წლის დიმიტრი ყოჩიაშვილს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. პროკურატურა დეტალურად განმარტავდა, იყო თუ არა ეს ცემის ფაქტი. ასეთი ცინიზმით, სამწუხაროდ, შორს ვერ წავალთ. დღევანდელი სხდომა იყო იმის კიდევ ერთი დადასტურება, რომ უწყებათაშორისი კომისია არის უუნარო“, – განაცხადა ზურაბ ჭიაბერაშვილმა და დასძინა:

„პროკურატურამ საქმე 125-ე მუხლით (ცემა) აღძრა, თუმცა მალევე შეწყვიტა. მინისტრმა წულუკიანმა კი ერთ-ერთ სხდომაზე გამოაცხადა, რომ 80-დან 76 საქმეზე ფაქტები არ დადასტურდა და ან შეწყდა საქმე, ან არც კი აღძრულა.

პროკურორმა ნათია მეზვრიშვილმა ასე ახსნა ამ კონკრეტულ საქმეზე გამოძიების შეწყვეტის მიზეზი: დომენტი ყოჩიაშვილს გულ-მკრედის არეში მუშტი კი დაარტყეს, მაგრამ ბატონმა დომენტიმ განგვიცხადა, ტკივილი არ მიგრძვნიაო; კოდექსი კი ამბობს, – განაგრძო მეზვრიშვილმა, – თუ დაზარალებულმა თქვა, რომ არ სტკენია, ეს ცემად ვერ ჩაითვლებაო.

ასე მიმდინარეობდა განხილვები უწყებათაშორის კომისიაზე და ეს იმ 76 არდაწყებული თუ შეწყვეტილი საქმის კლასიკური მაგალითია.

იმედია, მინისტრი წულუკიანი, რომელმაც უკვე დაარღვია კანონი და 10 დღის ვადაში არ გადმოგვცა კომისიის ერთი თვის წინ მოთხოვნილი აუდიოჩანაწერები, საბოლოოდ მათ მაინც გადმოგვცემს. დამერწმუნეთ, მათში მსგავსი დისკუსიები ულევადაა“. (ნიუპოსტი)

*მესამე გვერდიდან*

თავი არჩევნების შემდეგ.

ბევრი ამბობს: მერე რა, რომ ისევ „ნაციონალები“ გავიდნენ მეორე ადგილზეო? გამოდის, პრობლემა არის ისევ გუნდში, საზოგადოებაში და იმ არასაპარლამენტო ოპოზიციაში, რომელიც ვერ გაერთიანდა. ვიმეორებ, როდესაც 15 წლის ბიჭს უცხოელები გააუპატიურებენ და საზოგადოება ხმას არ იღებს, როდესაც ანტიდისკრიმინაციულ კანონს ვიღებთ და საზოგადოება დუმს, როდესაც ვინმე ქარუმიძე ბინძურ რომანს დაწერს და საზოგადოება კვლავ გაჩუმებულია, აქ უკვე დიდ პრობლემასთან გვაქვს საქმე. შეიძლება ზოგმა თქვას, ჯაჭვლიანმა ცუდად ჩაიხვია ეს თემებიო. არა, ამას გავიმეორებ 100 ათასჯერ. როცა ქარუმიძეზე ვლაპარაკობდი, ხალხი ფეხზე უნდა დამდგარიყო. ეს ყველას უნდა შევახსენო და ყველას სახეში ვურტყა! როდესაც საზოგადოება მომჩვარულია, როდესაც რეაქცია არ აქვს, სახელისუფლებო გუნდიც გრიალებს და არასახელისუფლებოც. შენ გგონია, ამერიკელები და სხვები ჩვენზე უკეთესები არიან? ნურას უკაცრავად, ქართველზე უკეთესი არავინ არის, უბრალოდ, ადამიანი კანონით უნდა აცხოვრო და პირველ რიგში, შვილი დასაჯო, თუკი რამეს დააშავებს. დიახ, კანონით უნდა „მიაჩმორო“, რა მნიშვნელობა აქვს, „ნაციონალია“, ოპოზიციონერია თუ ხელისუფლებაში იმყოფება?

ახლა ისეთ იმიჯს მიქმნიან, თითქოს მე ეგრევე დარტყმაზე გადავდივარ, თითქოს ჩემთან ლაპარაკი არ შეიძლება. დამისხდნენ და მელაპარაკონ, პოზიცია იქნება თუ ოპოზიცია, ყველას გულწრფელად გავცემ პასუხს. ამიტომ, როცა ჩვენ თბილისის მერს ავირჩევთ, შედეგებს კარგად დავინახავთ. თუ ის შედეგი არ იქნება, რასაც მე ვფიქრობ, მერე გამოვალ და ყველაფერს ვიტყვი ისე, როგორც საჭიროა. გუნდი იგივე ოჯახია, ჯერ უნდა დავიცვა. თუმცა, როდესაც ადამიანს ელაპარაკები, ძალიან კარგად გრძნობ დამოკიდებულებას დგომის მანერით, სახის გამომეტყველებით, საქციელით, როგორ წამოვა შენკენ, როგორ ჩამოგართმევს ხელს, როგორ ჩაგხედავს თვალებში. ესენი ამ საკითხებს უყურებენ ძალიან პრიმიტიულად, ბინძური ადამიანებით არის პოლიტიკა სავსე და ამიტომ ჩანს პოლიტიკა ბინძური. სწორედ ვიღაც ვირთხებმა აიტაცეს, სოსო ჯაჭვლიანი ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებზე ლაპარაკობს... ააა, ვირთხები გემიდან გარბიანო? სოსო ჯაჭვლიანი არსად არ გარბის, ის არსად არ გაიქცევა, ის ბოლომდე ჩაჰყვება სიმართლეს. გემიდან ისინი უნდა წავიდნენ, ვინც მართლა ვირთხაა და ვირთხობას აწვება! მე აქამდე არც ერთი პარტიის წევრი არ ვყოფილვარ და არც მომავალში ვიქნები. ნურას უკაცრავად, არჩევნები უნდა ჩატარდეს, ოღონდ ამას აქვს თავისი ფორმა და კანონი. მე ჩემი აზრი გამოვთქვი, კარგი იქნება, თუ ვადამდელი არჩევნები ჩატარდება-მეთქი, იმიტომ რომ პარლამენტში „ნაციონალებს“ 40 პროცენტი არ ეკუთვნით. კარგი იქნება, თუკი დაიწმინდება ყველაფერი. სოსო ჯაჭვლიანი „ქართული ოცნებიდან“ არსად წასვლას არ აპირებს, ის ჯარისკაცი იყო და ჯარისკაცად დარჩება.

**„ნურას უკაცრავად, არჩევნები უნდა ჩატარდეს, ოღონდ ამას აქვს თავისი ფორმა და კანონი. მე ჩემი აზრი გამოვთქვი, კარგი იქნება, თუ ვადამდელი არჩევნები ჩატარდება-მეთქი იმიტომ, რომ პარლამენტში „ნაციონალებს“ 40 პროცენტი არ ეკუთვნით“**

დღეს ბევრს ლაპარაკობენ, კოალიცია იშლებაო, არ მაინტერესებს, თუ ვინმეს ჩემი წასვლა უნდა, თვითონ წავიდეს, ამაში დავეხმარები და ვაიძულებ კიდეც! მე ბოლომდე უნდა ჩავყვე, ბოლომდე უნდა მივყვე საქმეს, სოსო ჯაჭვლიანი ის კაცი არ არის, რომ ბოლომდე არ გაჰყვეს ყველაფერს. ვინც იტყვის, ნორმალური ცხოვრება არ უნდა იყოს ამ ქვეყანაშიო, იმას ისეთი უნდა ამოსცხო ყბაში, გაარღვიო ბოლომდე! პრემია და ხელფასი უნდა გეკუთვნოდეს, რომ იღებ. ნუ მალავთ ნურაფერს, მე არაფერი დამიმალავს და არც დავმალავ. მკითხე? გიპასუხე! დანარჩენები რასაც ლაპარაკობენ და როგორც ფუთფუთებენ, თუ უნდათ, ისევ იფუთფუთონ, ოღონდ მოვიდნენ, პირისპირ დამისხდნენ და მელაპარაკონ!

**— სოსო, ამ თემაზე კოალიციაში ვინმესთან საუბარი გქონდა? გავიგე, კოალიციაში, თურმე, ბუტიაობის მორიგი სერია დაწყებულა.**

– ვინ ვის ებუტება?

**— ვინც პრესაში სიმართლეს იტყვის, თურმე იმას კოალიციაში ებუტებიან, გამარჯვობას არ ეუბნებიან.**

**„დღეს ბევრს ლაპარაკობენ, კოალიცია იშლებაო, არ მაინტერესებს, თუ ვინმეს ჩემი წასვლა უნდა, თვითონ წავიდეს, ამაში დავეხმარები და ვაიძულებ კიდეც! მე ბოლომდე უნდა ჩავყვე, ბოლომდე უნდა მივყვე საქმეს, სოსო ჯაჭვლიანი ის კაცი არ არის, რომ ბოლომდე არ გაჰყვეს ყველაფერს. ვინც იტყვის, ნორმალური ცხოვრება არ უნდა იყოს ამ ქვეყანაშიო, იმას ისეთი უნდა ამოსცხო ყბაში, გაარღვიო ბოლომდე!“**

– ჩვენ შევიკრიბეთ, ყველამ რაღაცა თქვა, ბოლოს ავდექი და სულ სიცილ-ხარხარით გამოვედი. იუმორში გავატარე ყველაფერი. რაც სათქმელი იყო, ყველას ამომწურავად ვუთხარი. ჩვენ ხშირად ვსაუბრობთ, მაგრამ ახლა, როგორც გითხარი, ველოდები არჩევნების მეორე ტურს, შევხედოთ, სიტუაცია უნდა დალაგდეს და რასაც ადამიანებს დავპირდით, ის უნდა შესრულდეს. სულ არ მაინტერესებს, ჩემიანი იქნება თუ სხვისიანი, დასასჯელი დაისჯება.

**— აგერ, საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი, ნიკოლა სარკოზი დააპატიმრეს იმის გამო, რომ რაღაც 100 ათასი ევრო არასწორად გახარჯა არჩევნებში. ჩვენ გვყავს ყოფილი მერი, რომელსაც მილიონობით დოლარის გაფლანგვა ედება ბრალად და ეგ ვერ დაგიჭერიათ, სხვა რაზე უნდა ვილაპარაკოთ?**

– ეს მე ძალიან მაგრად მხვდება გულზე... როდესაც სარკოზის იჭერ, ამ უგულავასა და სააკაშვილზე, ამ გიჟებზე საერთოდ არ უნდა იყოს ლაპარაკი. სწორედ ეს იწვევს ხალხში გალიზიანებასა და ნიჰილიზმს. ეტყობა, ამათ ისეთი ვიღაცები აფარებენ ხელს, ჩვენზე მაგრები არიან. ჩემთვის კოჰაბიტაცია არასოდეს არსებობდა, დამნაშავეები უნდა დაიჭირონ. სააკაშვილი „ბულკის“ მოპარვის გამო იჭერდა ხალხს, ახლა მილიონებზეა საუბარი. თუ მეორე ტურის შემდეგ საქმეები ფორსირებულად არ წავა, არავინ არ გაჩერდება, პირველ რიგში არ გაჩერდებიან ის ადამიანები, რომლებმაც ჩვენ აგვირჩიეს. ახლა იმასაც მეკითხებიან, ვადამდელ არჩევნებს რომ ითხოვ, შენი და ნინო ბურჯანაძის გეგმები ხომ არ ემთხვევა ერთმანეთსო? ესენი ვერ არიან, რააა!

**— კი, უკვე ბევრი დაეჭვდა, სოსო ჯაჭვლიანი ხომ არ აპირებს ნინო ბურჯანაძის გუნდში გადასვლას, ის ხომ 2012 წლის არჩევნებამდე მასთან იყოო?**

– ბიჭო, არასწორს რამეს ვამბობ? მე ნებისმიერ ოპოზიციას, გარდა „ნაციონალებისა“, პატივს ვცემ. მე მინდა, ისეთ ქვეყანაში ვიცხოვრო, სადაც ადამიანები ერთმანეთს კაცურად ხელს ჩამოართმევენ და პოლიტიკა არაფერ შუაში არ იქნება. თუ სათქმელი მაქვს, მე ნინო ბურჯანაძესაც ვეტყვი, კუკავასაც ვეტყვი და სხვებსაც. ჩვენ ერთმანეთს მორალური კოდექსის მიხედვით უნდა მივაგოთ პატივი, საქმე სულ სხვა რაღაცაა. ასე რომ, ვინც ასეთ ჭორებს ხლართავს, ძალიან ცდება. არსად წასვლას არ ვაპირებ, ვიმეორებ კიდევ ერთხელ, მე უნდა ვიბრძოლო ბოლომდე იქ, სადაც დღეს ვარ!

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ნაძირალა ივანიშვილისა და ბიჭუშკა ღარიბაშვილის სასამართლო შეიძლება თქვენ ჩაატაროთ“



ბაჩო ახალაია პატიმრობაში რჩება, დაცვის მხარის შუამდგომლობა პატიმრობის ვადის ამოწურვამდე მისი გათავისუფლების შესახებ, მოსამართლე ბესიკ ბუგიანიშვილმა არ დააკმაყოფილა. ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი იყო ის, რომ კვლავ არსებობს რისკები ბაჩანა ახალაიას მხრიდან მოწმეებზე ზეწოლისა.

ბრალდებულისთვის მოსამართლის გადაწყვეტილება მოულოდნელი არ ყოფილა. ახალაიამ საკმაოდ ვრცელი განცხადება გააკეთა, მან დააანონსა, რომ პროკურატურაში მის წინააღმდეგ კიდევ ერთი საქმე მზადდება, განცხადების შემდეგ საქართველოს თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა სასამართლო პროცესი დატოვა.

„დღევანდელი ჩვენი შუამდგომლობის მთავარი მოტივაცია ის კი არ არის, რომ მე სახლში წავიდე სინამდვილეში, მე მშვენივრად მესმის, რომ შეიძლება ამ შენობიდანაც კი ვერ გავსულიყავი, ძალიან კარგად მესმის, უბრალოდ თქვენც და სასამართლოსაც ვეუბნები იმას, რომ აქ არის სულ სხვა ვითარება, ეს არის ბინძური პოლიტიკური თამაში, ნაძირალა ივანიშვილის, ბატონო მოსამართლევ, მე საკმაოდ კორექტული ვარ, მაგ ადამიანის მიმართ, რომელიც ჩვენი სახელმწიფოს წინააღმდეგ მოქმედებს, რომელსაც მე მთელი ჩემი ცხოვრება მივუძღვენი და მთელმა ჩემმა მეგობრებმა, იმ ადამიანის, იმ ნაძირალა ივანიშვილის ურთიერთობებში სასამართლოს ნუ ჩარევთ, ეს არის დიდი უბედურება, ჩვენ რაც თავს დაგვატყდა, თუ ვინმეს ჰგონია, რომ ეს არის თითოეული სასამართლო პროცესი ან უბრალოდ ახალაიას, ან მერაბიშვილის ან ვინმეს დაჭერა, ძალიან ცდებით, ამით ზარალდება მთელი ქვეყანა, აი, ამ ნაძირალა ივანიშვილს და მაგის ბიჭუშკა ღარიბაშვილს, აი, ამ დარბაზში შეიძლება თქვენ მოგიწიოთ სასამართლოს ჩატარება“, – განაცხადა ახალაიამ. (ნიუპოსტი)

## „ე.წ. კრიმინალური ავტორიტეტების დაბრუნებაზე ინფორმაცია აბსურდულია“



მთავარი პროკურორის პირველმა მოადგილემ ირაკლი შოთაძის განცხადებით, „კანონიერ ქურდებს“ საქართველოს საზღვარი არ გადმოუკვეთავთ.

შოთაძემ ასევე აბსურდული უწოდა ინფორმაციას რომან ბარბაქაძის („რემენას“) და მინდია გორაძის საქართველოში დაბრუნებას.

„პირველად მესმის აღნიშნული ინფორმაციის შესახებ. ინფორმაცია იმდენად აბსურდულია, რომ კომენტარს ვერ გავაკეთებ. ბევრი ჭორი ვრცელდება, მაგრამ ასეთ ჭორებს რეალობასთან საერთო არაფერი აქვს“, – აღნიშნა შოთაძემ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## თუ თავი გაქვთ უგულავა წააქციეთ...



თბილისის ყოფილი მერი გიგი უგულავა მთავარი პროკურორის პირველი მოადგილის ირაკლი შოთაძის განცხადებას „ფეისბუკზე“ ეხმაურება. მისი თქმით, შოთაძეს საზოგადოების სიცრუეში შეყვანა სურს და განმარტავს, რომ მას საზღვარგარეთ გასამგზავრებლად პროკურატურის ნებართვა არ სჭირდებოდა.

„პროკურატურა იტყუება. არანაირი ნებართვა ქვეყნის დატოვებაზე მე, როგორც ბრალდებულს არ მჭირდება, რადგან ამას სასამართლო აწესებს და არა გამოძიება. სამარცხვინოა, რომ მთავარი პროკურორის პირველმა მოადგილემ ეს არ იცის, ან შეგნებულად ატყუებს საზოგადოებას. რაც მთავარია, შოთაძის აღიარებით მე ბრალი მხოლოდ იმ მოტივით წამიყენეს, რომ თითქოს „ოპერატიული მონაცემების მიხედვით მივდიოდი და არ ვბრუნდებოდი და რომ ჩემი მეუღლე საზღვარგარეთ იმყოფებოდა“. დავუშვათ და ასეა, მე რომ არ გადამეწყვიტა ევროსაბჭოს კონგრესის სხდომაზე წასვლა ბრალს არ წამიყენებდნენ?!. იაფფასიან და გაუნათლებელ მატყუარათა თავყრილობად ჩამოყალიბდა პროკურატურა.

პ.ს. რაც ივანიშვილი მოვიდა ხელისუფლებაში 19-ჯერ მაქვს გადაკვეთილი საზღვარი (მათ შორის მეუღლესთან ერთად). როგორც ჩანს, ივანიშვილი-ღარიბაშვილი საკუთარი გადმოსახედიდან უყურებენ სხვებს. მაგ ბედნიერებას არასდროს მოგანიჭებთ. წავიდე და აქ გაძახებინოთ, გაიქცაო! აქ ვარ, ვდგევარ და მიდით თუ თავი გაქვთ, წამაქციეთ“, – წერს უგულავა. (ნიუპოსტი)



# „სააკაშვილი რომ უკრაინიდან გაჰკიოდა, ღარიბაშვილს თეთრი სახლიდან მისცეს მითითება, სააკაშვილს ხელი არ დაადოთო, სარკოზის შემთხვევაში რატომ არის მსოფლიო დადუმებული?“

საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი ანტიკორუფციული სამსახურის თანამშრომლებმა დააკავეს. მას ბრალად ედება ძალაუფლების ბოროტად გამოყენება. 2007 წლის წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსებასთან დაკავშირებით არალეგალური თანხების მოძიებასა და კორუფციულ გარიგებაში შესვლას ედავებიან. სწორედ ამ ბრალდების საფუძველზე პოლიციამ სარკოზის სახლი და ოფისი გაჩხრიკა. ნიკოლა სარკოზის 24-საათიანი პატიმრობა მიუსაჯეს, თუმცა არ არის გამორიცხული, პატიმრობის ვადა გაეზარდოს. ეს არის მოკლე ინფორმაცია, რასაც მედიასაშუალებები ავრცელებენ. ამ ფაქტმა „ნაციონალები“ ისე შეაშინა, რომ მახეში გაბმული ვირთხებივით გოდებენ, ხვდებიან, რომ მათ ლიდერსაც უახლოვდება ყულფი, სადაც ის თავით წაერჭობა ძალიან მალე. ახლა ჯერი ქართველ სამართალდამცავებზეა, რამდენად შეძლებენ დამნაშავე ჩინოვნიკების გასამართლებას. ჩვენ ავირჩიეთ ევროპული გზა, სადაც ადამიანებს ასამართლებენ იერარქიის მიუხედავად! ნიკოლა სარკოზი ვერ გაექცა მართლმსაჯულებას, მაგრამ რა იქნება ჩვენი „მოუხელთებელი ჯო“-ს შემთხვევაში, ამას დრო გვიჩვენებს.

პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე** „ალიას“ კითხვაზე, რატომ ითვლება სააკაშვილის რეჟიმის გასამართლება პოლიტიკურ დევნად, მაშინ როცა საფრანგეთმა ნიკოლა სარკოზი დააკავა, ისრაელმა გაასამართლა ყოფილი პრემიერი, იტალიამ გაასამართლა ასევე ყოფილი პრემიერი? ვინ ახდენს ზეწოლას ქართველ სამართალდამცავებზე, რომ არ გასამართლდნენ დამნაშავე რეჟიმის დამნაშავე წარმომადგენლები, რომლებსაც ბრალად ედებათ ხაზინის ქურდობა, ადამიანების წამება, შეურაცხყოფა და მათი გაუპატიურება, პასუხობს:

– სარკოზის თემით დავიწყოთ საუბარი. საფრანგეთის ექსპრეზიდენტის საქმესთან დაკავშირებით ძიება ჯერ კიდევ გასული წლის მარტში დაიწყო. ეჭვია, რომ 2007 წელს საპრეზიდენტო არჩევნების დროს, მან მიიღო უკანონო შემოწირულობები. კერძოდ, არის გონივრული ეჭვი, რომ მის წინასაარჩევნო კამპანიას აფინანსებდა ლიბიის ყოფილი დიქტატორი მუამარ კადაფი. ამიტომაც სარკოზი პარიზის გარეუბანში დააკავეს 24 საათით. ფრანგული კანონით შესაძლებელია კიდევ ერთი დღით გაუხანგრძლივონ პატიმრობა. მიმდინარეობს ძიება, ხვალ, მაქსიმუმ ზეგ, გარკვეული იქნება, წაუყენებენ თუ არა ბრალს, გაატარებენ თუ არა მის მიმართ აღმკვეთ ღონისძიებას.

**— „ნაცმოძრაობის“ წევრი გია ბარამიძე ნიკოლა სარკოზის დაკავების ფაქტს ეხმაურება და იცით, რას წერს? სარკოზი დააკავა იმავე პროკურორმა, რომელმაც დავით კეზერაშვილი გაათავისუფლაო. სარკოზი, ისევე როგორც საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი, დააკავეს იმიტომ, რომ მას დაკითხვაზე მისვლა არ სურდა. ეს ადამიანის უფლებაა...**

– ძნელია, ფრანგი გამომძიებლები შეადარო ქართველ გამომძიებლებს, სააკაშვილთან დაკავშირებით ყველაფერი გაურკვევლად მოხდა. ქართველმა სამართალდამცავებმა თქვეს, რომ თუ არ გამოცხადდება პროკურატურაში, მის მიმართ კანონით გათვალისწინებულ ყველა ზომას გავატარებთო, მაგრამ შემდეგ საერთოდ შეწყდა ყველაფერი. აღარც პროკურატურა საუბრობს ამ საკითხზე და აღარც სააკაშვილი. თავის დროზე ჟაკ შირაკს პირობითი სასჯელი ჰქონდა, როდესაც პარიზის მერი იყო, ბრალი წაუყენეს, რომ მან გაფლანგა ფული. სულ ახლახან იტალიის პრემიერ-მინისტრი და მსოფლიოში ერთ-ერთი მდიდარი ადამიანი – სილვიო ბერლუსკონი, გასამართლდა და დღეს ის დავრდომილთა თავშესაფარში მოხუცებულთა ქოთნებს წმენდს. ისრაელის ყოფილი პრემიერიც დააკავეს ქრთამის აღებისთვის... იმის თქმა მინდა, რომ ხელშეუხებელი არავინ არის.

**— საქართველოში რატომ არიან ხელშეუხებლები დამნაშავე ჩინოვნიკები და რატომ ითვლება, რომ მათ წინააღმდეგ წარმოებული საქმე პოლიტიკური დევნაა. საქართველო ხომ ევროსტანდარტებზე გადავიდა?..**

– შენ ევროპაში არავინ გიკრძალავს, რომ არ დააკავო ესა თუ ის პიროვნება, განურჩევლად მისი იერარქიისა. მთავარია, რომ დაკავებისთვის გქონდეს მყარი მტკიცებულებები. არ არის სათანადო მტკიცებულებები და ამიტომ ამბობენ, რომ ეს ჰგავს პოლიტიკურ შურისძიებას. სარკოზის ასევე ბრალი ედება, რომ მოსამართლეებზე ზეწოლას ახდენდა. ერთ-ერთ მოსამართლეს მონაკოში დიდ თანამდებობას ჰპირდებოდა.

**— სარკოზის არ გაუჭირდება თავის დაცვა, თვითონვე აქვს საადვოკატო კომპანია, სადაც მსოფლიოში უძლიერესი ადვოკატები ჰყავს დასაქმებული. მე მაინტერესებს, რატომ არის ორმაგი სტანდარტები. თუკი სარკოზის დაკავება შესაძლებელი, რატომ არის შეუძლებელი სააკაშვილის დაკითხვაზე გამოცხადება?**

– საერთოდ, მართლმსაჯულების სისტემის დახვეწა ურთულესი საქმეა, ერთი რეფორმით ეს საკითხი არ წყდება. დღეს ჩვენ ვხედავთ, როგორ მიმდინარეობს გიგი უგულავას სასამართლო პროცესი, ნუთუ სამართალდამცავებს, ბექაურის ალიარებითი ჩვენების გარდა, სხვა მტკიცებულება არ აქვს, იგივე „სიტი პარკთან“ მიმართებაში სხვა მოწმე ვერ მოძებნეს? „სიტი პარკმა“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება რომ არ შეასრულა, გადასახადი რომ გააორმაგა, მას პასუხი არ უნდა მოეთხოვოს? მოკლედ, იმის თქმა მინდა, ეს „ქართული ოცნება“ მთვარიდან ხომ არ ჩამოიყვანდა პროკურორებსა და გამომძიებლებს, ვისაც რა რესურსი აქვს, იმ რესურსით მუშაობენ.

**— კი მაგრამ, სააკაშვილი რომ უკრაინიდან გაჰკიოდა ღარიბაშვილს თეთრი სახლიდან მისცეს მითითება,**

*გაგრძელება მე-6 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## სარკოზის დაკავების გამო შეშფოთება უნდა გამოვხატოთ?



პარლამენტის წევრი ირაკლი სესიაშვილი სარკოზის დაკავებასთან დაკავშირებით „ნაციონალების“ მიერ გაკეთებულ განცხადებებზე აკეთებს კომენტარს: „ნაციონალური მოძრაობის“ ჭკუით, შეშფოთება უნდა გამოვხატოთ ნიკოლა სარკოზის დაკავების გამო... ყველა დემოკრატიულ სახელმწიფოში დანაშაულის ჩამდენ ნებისმიერ პირს იმუნიტეტი არ გააჩნია და ნიკოლა სარკოზის დაპატიმრებაშიც გასაკვირი არაფერია“.

„ჩვენთვის არ არსებობენ სახელები. ჩვენთვის არსებობენ თანამდებობის პირები. თუ გიგი უგულავაზე ვილაპარაკებთ, აქ საქმე გვაქვს არა გიგი უგულავაზე, არამედ ყოფილ მერზე, რომელსაც ბრალი ედება ხალხის ბიუჯეტის არამიზნობრივ გამოყენებაში, მითვისებაში, მოპარვასა თუ გაფლანგვაში. ასევეა, ყოფილი მინისტრების შემთხვევაშიც.

„ნაციონალურ მოძრაობას“ არ აქვს არგუმენტი გარდა იმისა, რომ ისაუბროს გამოგონილ პოლიტიკურ დევნაზე. მათთვის უმჯობესი იყო თავის დროზე ისეთი პოლიტიკა გაეტარებინათ, რომელსაც ჩვენ დღეს ვატარებთ. ჩვენ ვართ უმკაცრესები ნებისმიერი მმართველის მიმართ. ამის ბევრი მაგალითია: „ქართული ოცნების“ არაერთი გამგებელი გვყავს დაკავებული ფინანსური მაქინაციების გამო. „ნაციონალებმა“ კი რაც დათესეს, დღეს იმას იმკიან“, – განაცხადა სესიაშვილმა. (რეპორტიორი)

## „დარწმუნებული ვარ, „ნაცმოძრაობა“ კომისიასთან ითანამშრომლებს“



იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი „ნაციონალური მოძრაობის“ წევრის ზურაბ ჭიაბერაშვილის მიერ უწყებათაშორისი კომისიის სხდომის პროტესტის ნიშნად დატოვებას გამოეხმაურა. მისი თქმით, კომისიის სხდომებზე დასწრება „ნაციონალური მოძრაობის“ და მათი კანდიდატების ინტერესებშია.

„ძალიან კარგია, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი მთელი წინასაარჩევნო პერიოდის განმავლობაში და 29 ივნისს ჩატარებული არჩევნების პერიოდშიც კომისიაში მუშაობდა. როგორც გასულ წელს, წელსაც, ალბათ, მედიაში ნიუსი შექმნეს, მაგრამ ჩვენთან ურთიერთობას წერილობით გააგრძელებენ. ეს მათივე ინტერესებშია. უწყებათაშორისი კომისიის სხდომაზე ზურაბ ჭიაბერაშვილის მოსვლა ჩემს ინტერესებში არ შედის, ეს არის მისი, მისი პარტიისა და მათი კანდიდატის ინტერესში, ამიტომ ჩვენთან მუშაობა უნდა გააგრძელონ და დარწმუნებული ვარ, ეს ასეც იქნება“, – განაცხადა წულუკიანმა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „ევროპა ან ამერიკა სააკაშვილს არ ლობირებს“



საქართველოს პარლამენტის წევრი, ზაქარია ქუცნაშვილი ნიკოლა სარკოზის დაპატიმრების ფაქტს ეხმიანება და აცხადებს: „ევროპულ სახელმწიფოებში არავინ დგას კანონზე მაღლა. როცა „ნაციონალური მოძრაობა“ ითხოვს, დადგეს კანონზე მაღლა, მიანიშნებს, რომ ისინი არიან არა ევროპული საზოგადოების, ევროპული სტანდარტების მომხრეები, არამედ იმ ძველი დამოკიდებულების მომხრეები, როცა თანამდებობის პირები იყვნენ ხელშეუვალნი... როცა პოლიტიკურ დევნაზე საუბრობს „ნაციონალური მოძრაობა“, მაშინ ისიც უნდა თქვას, რომ საფრანგეთშიც არის ავტოკრატიული ხელისუფლება, რომელიც დევნის ყოფილ თანამდებობის პირებს“, – აღნიშნა ქუცნაშვილმა.

რაც შეეხება საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის დაკითხვაზე დაბარებასთან დაკავშირებით, ზოგიერთი ევროპელი ლიდერის მიერ გამოთქმულ ეჭვს, რომ მიხეილ სააკაშვილს შესაძლოა, ხელისუფლება პოლიტიკურად დევნიდეს, ამ მოსაზრებას ქუცნაშვილი ნაკლებ ინფორმირებულობას უკავშირებს.

„ადამიანები კომენტარს აკეთებენ იმის მიხედვით, რა ინფორმაციასაც ფლობენ. არ გამიკვირდება, რომ ზოგიერთი ევროპული მედიასაშუალება ან თუნდაც თანამდებობის პირი არ ფლობდეს იმ ინფორმაციას, რასაც ჩვენ ვფლობთ. არ მიმაჩნია, რომ ევროპა ან ამერიკა სააკაშვილს ლობირებდეს. თავად სააკაშვილი ცდილობს, ევროპასა და ამერიკას ამოეფაროს. ამის ნათელი გამოხატულებაა, 17 ნოემბერს დაკრა ფეხი და იმის მერე აღარ უცხოვრია საკუთარ სამშობლოში. არც იცხოვრებს, რადგან სამშობლო მისთვის არ არის ცხოვრების, შემოქმედების, ურთიერთობის ასპარეზი. საქართველო მისთვის იყო, საპრეზიდენტო მმართველობის ტერიტორია, სადაც გართობის, დროის ტარების, „გულაობის“ გარდა, არაფერი დარჩენია. მას სურს, ამერიკა და ევროპა ფარად გამოიყენოს და თავი წარმოაჩინოს თავისუფალი და სამართლიანი ღირებულებების დამცველად საქართველოში“, – განაცხადა დეპუტატმა. (რეპორტიორი)

*მეხუთე გვერდიდან*

**სააკაშვილს ხელი არ დაადოთო, სარკოზის შემთხვევაში რატომ არის მსოფლიო დადუმებული?**

– ჯერ ერთი, ის არის საფრანგეთი, ფრანსუა ოლანდს ვერავინ გაუბედავს დაურეკოს და უთხრას, ხელი არ დააკაროთო. მეორეც, საფრანგეთის მიმართ ვერავინ იტყვის, რომ ეს არის შურისძიება. ჩვენ კი ყოველ წუთს ამას გვეუბნებიან, მოისმინეთ, რა განაცხადა კარლ ბილდტმა? არ უნდა იყოს რაიმე ნიშნით დევნა, შერჩევით სამართალს



„სააკაშვილი რომ უკრაინიდან გაჰკიოდა, ღარიბაშვილს თეთრი სახლიდან მისცეს მითითება, სააკაშვილს ხელი არ დაადოთო, სარკოზის შემთხვევაში რატომ არის მსოფლიო დადუმებული?“

არავინ მოითმენს. ესე იგი ეს დიპლომატები ჩვენ გვეუბნებიან, თქვენთან შერჩევითი სამართალიაო.

**— და მაინც, როგორ ფიქრობთ, ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ მოგვეცემა შესაძლებლობა, რომ დასავლეთის ზეწოლის გარეშე განვახორციელოთ ჩვენს ქვეყანაში სამართლიანი მართლმსაჯულება ისე, რომ სააკაშვილისგან მოსყიდულმა ლობისტებმა არ გვიკიჟინონ, ეს პოლიტიკური ანგარიშსწორებააო.**

– მოდით, ასე ვთქვათ, ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულება არავითარ ვალდებულებას არ ნიშნავს და მეორე, იურიდიულად ევროპისკენ წინსვლასაც არ ნიშნავს. უბრალოდ, ჩვენ ავირჩიეთ ევროპული გზა. ევროპა ვერ დაგეხმარება, რომ შენს ქვეყანაში დაამკვიდრო ევროპული წეს-ჩვეულებანი, ეს საქართველოს ხელისუფლებაზეა დამოკიდებული. ძალიან რომ უხარიათ ჩვენს ჩინოვნიკებს ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმება, მართალი გითხრათ, მე არ ვიცი, რა უხარიათ, რადგან ეგენი ყოველდღე არღვევენ ყოველდღიური ევროპული ცხოვრების წესს, ყოველთვიურად იწერენ კოლოსალურ პრემიებს, ზოგიერთი თანამდებობას იყენებს პირადი შურისძიების მიზნით, ევროპის ცხოვრების წესს სწორედ ის ჩინოვნიკები არღვევენ, ვინც ხალხისთვის მიუწვდომლები არიან. ჩინოვნიკთან რომ კაბინეტში ვერასდროს ვერ შეხვალ, ტელეფონს რომ არ უპასუხებს, ხალხისგან მოწყვეტილი რომაა ჩვენი პოლიტიკური ელიტა, ამას ევროპაში არსად აკეთებენ. ამიტომ, მოდით, ასე ვთქვათ, ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებას ნურც დავაკნინებთ და ამ დოკუმენტზე ძალიან გაზვიადებული შთაბეჭდილებაც ნუ გვექნება. ასეთივე ხელშეკრულება აქვს პალესტინას. გეკითხებით, პალესტინა სახელმწიფოა? იქ ქვეყანას ტერორისტები მართავენ, მერე რა, რომ ასოცირების ხელშეკრულებაზე აქვს ხელი მოწერილი, ამ დონეზე დარჩებიან ისინი 500 წელი, ის ევროპული ქვეყანა ვერასოდეს გახდება. იგივე ხელშეკრულებაზე აქვს ხელი მოწერილი ალჟირს, ყოველდღე 30 ალჟირელს პოულობენ იტალიის საზღვარზე დამხრჩვალს. ალჟირიდან ხალხი იტალიაში გარბის, ალჟირს რამე ეშველა? ასე რომ, ჩვენ ავირჩიეთ ევროპული გზა, მაგრამ როგორ გავივლით ამ გზას, ეს დამოკიდებულია საქართველოს ხელისუფლებაზე. ხელისუფლებამ უნდა დაამყაროს ევროპული ცხოვრების წესები.



„სარკოზის არ გაუჭირდება თავის დაცვა, თვითონვე აქვს საადვოკატო კომპანია, სადაც მსოფლიოში უძლიერესი ადვოკატები ჰყავს დასაქმებული. მე მაინტერესებს, რატომ არის ორმაგი სტანდარტები. თუკი სარკოზის დაკავებაა შესაძლებელი, რატომ არის შეუძლებელი სააკაშვილის დაკითხვაზე გამოცხადება?

**— საქართველოს წინ კიდევ ერთი ამოცანა აქვს გადასაჭრელი, უელსის სამიტი გველოდება. ნატო გვპირდება, რომ მაპ-ს არა, მაგრამ საქართველოსთვის სპეციალურ პაკეტს ამზადებს. ჩვენ ვხედავთ პარალელურად, რა ხდება მეზობელ უკრაინაში. შეიჭრა რუსული სამხედრო ტექნიკა, პუტინმა ოფიციალურად კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ მის მეზობელ ქვეყნებში არ დაუშვებს ნატო-ს შეიარაღებულ ჯარს. როგორ განვითარდება მოვლენების ქრონიკა?**

– უელსის სამიტზე რას მოგვანიჭებენ, ეს კიდევ კაცმა არ იცის. მათი ფორმულირებაა გაძლიერებული თანამშრომლობა. ფაქტი ერთია, ჩვენ რუსეთისგან გველის საფრთხე, აქედან გამომდინარე, ჩვენ რუსეთისგან ან უნდა ვიყოთ დაცული, ან – არა. ვინც არ უნდა დაგვეხმაროს, ნატოს წევრობის გარდა, ჩვენ არავინ არ დაგვიცავს ჰიპოთეტური საფრთხისგან, რომელიც რუსეთისგან შეიძლება წამოვიდეს. ჩვენ არც მაპ-ი დაგვიცავს, არც გაძლიერებული თანამშრომლობა თავდაცვის სფეროში. გაძლიერებული თავდაცვა დაგვიცავს ტერორისტებისგან, მაგრამ როდესაც ჩვენი მთავარი საფრთხეა რუსეთი, იქ არის მხოლოდ ერთადერთი დაცვის საშუალება, ეს არის ნატო-ს მე-5 პუნქტი, სადაც წერია, რომ ნატო ვალდებულებას იღებს, თუ შენ ვინმე თავს დაგესხა, ეს ნიშნავს ნატო-ზე თავდასხმას და ნატო-ს ყველა წევრი ქვეყანა ვალდებულია, დაგეხმაროს. აი, ეს არის გარანტია. სხვა ყველა დანარჩენი არის ლირიკა. რაც შეეხება პუტინს, როგორც ჩანს, მან სერიოზული უკუსვლა დაიწყო, ის, რომ ფედერაციის საბჭოდან გაიტანა თავისი მოთხოვნა უკრაინაში ჯარების შეყვანასთან დაკავშირებით, ეს უკუსვლას ნიშნავს. დღეს ოფიციალურად უკრაინაში ჯარების შეყვანის უფლება პუტინს არ აქვს, რადგან ეს უფლება თვითონვე გაიუქმა.

**— კი მაგრამ, გუშინ რუსული ჯავშანტექნიკა შევიდა უკრაინის ტერიტორიაზე და უკრაინის პრეზიდენტმა პოროშენკომ საბრძოლო მზადყოფნა გამოაცხადა. სამდღიანი ზავი გაუქმებულია, უკრაინა ომის დაწყების ზღვარზეა.**

– ეს მოხდა ჩუმად, არაოფიციალურად, ლავროვმა განაცხადა, წარმოდგენა არ გვაქვს, ეს ტანკები ვისიაო. პუტინს გასდის ვადა, დასავლეთმა დაიწყო საუბარი სექტორალურ სანქციებზე, სექტორალური სანქციები გახლავთ ყველაზე მძიმე, რაც მოქმედებს უშუალოდ სექტორებზე, ენერგეტიკაზე, საბანკო სისტემაზე, რუსეთისთვის ეს იქნება ძალიან მტკივნეული.

**— მაგრამ პუტინის აგრესიას დასასრული არ უჩანს.**

– დიახ, პუტინი ასე ადვილად არ დაასრულებს, ამ პროცესს ჭიმავს, მაგრამ მთავარი ისაა, რომ პუტინმა და ლავროვმა თავიანთი ლექსიკიდან უკვე ამოიღეს ტერმინი „უკრაინის უკანონო ხელისუფლება“ და პოროშენკოს უკვე აღიარებენ. პუტინიც არ არის ყოვლისშემძლე, როგორც მერკელს ჰგონია. ის აუცილებლად შეწყვეტს და დანებდება. მინდა გითხრათ, რომ მისი აგრესია ჩვენზეც გადმოვა, ოღონდ ეკონომიკური კუთხით. სავაჭრო სფეროში ის განახორციელებს აგრესიას.

**ნინო სამხარაძე**
599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## გოგა ხაჩიძე „რემენასთან“ დაკავშირებით სკანდალურ დოკუმენტს აქვეყნებს




უმცირესობის წევრი გოგა ხაჩიძე „ფეისბუკზე“ დოკუმენტს აქვეყნებს: „წარმოგიდგენთ დოკუმენტებს, რომლითაც დასტურდება რომ კანონიერი ქურდი „რემენა“ 20 ივნისს უკრაინიდან საქართველოში იქნა ექსტრადირებული. იგივე ფაქტი არაერთხელ დაადასტურა როგორც უკრაინულმა მხარემ, ასევე საქართველოს საელჩომ უკრაინაში. აქედან გამომდინარე, შემიძლია სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ კახი კალაძე, ჭიკაიძე და შოთაძე, ჩვეულებრივი ცრუპენტელა „ბაცნები“ არიან“, – წერს ხაჩიძე.

შოთაძემ აბსურდული უწოდა ინფორმაციას რომან ბარბაქაძის („რემენას“) და მინდია გორაძის საქართველოში დაბრუნებას: „პირველად მესმის აღნიშნული ინფორმაციის შესახებ. ინფორმაცია იმდენად აბსურდულია, რომ კომენტარს ვერ გავაკეთებ. ბევრი ჭორი ვრცელდება, მაგრამ ასეთ ჭორებს რეალობასთან საერთო არაფერი აქვს“, – აღნიშნა მთავარი პროკურორის პირველმა მოადგილემ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ირმა ნადირაშვილი კახა კალაძის დაკითხვას მოითხოვს



დეპუტატი ირმა ნადირაშვილი პროკურატურას წერილობით მიმართავს და ბარბაქაძის საქმეზე კახა კალაძის დაკითხვას მოითხოვს. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ საქართველოში კვლავ კრიმინალური ავტორიტეტების გავლენის დაბრუნებაზე საუბრობს:

„ბოლო პერიოდში გამოიკვეთა საქართველოში კრიმინალური ავტორიტეტების გავლენის დაბრუნების შემაშფოთებელი ტენდენცია. აღსანიშნავია, რომ ეს მოვლენები შეუძლებელი იქნებოდა დღევანდელი მთავრობის ღია თუ ფარული დახმარებისა და მფარველობის გარეშე. რამდენიმე დღის წინ ჩვენ გაცნობეთ ძებნილი კრიმინალური ავტორიტეტის რომან ბარბაქაძის (მეტსახელად „რემენა“) საქართველოში დეპორტაციისა და თბილისის აეროპორტიდან მისი „გაქრობის“ ამბავი.

გვინდა გაცნობოთ ამ ფაქტის რამდენიმე დამატებითი დეტალი. ავტომანქანა, **S**-კლასის მერსედესი, სახელმწიფო ნომრებით **ZQZ-222**, რომლითაც მოხდა მისი აეროპორტის ტერიტორიიდან გაყვანა, იმყოფება მოქალაქე მარინა დოლიძე-კეჭაყმაძის (დაბადებული 1970 წელს, მცხოვრები თბილისი, ჯანიაშვილის ქ. 16-18-20) მფლობელობაში. ქალბატონი მარინას მეუღლე ილია კეჭაყმაძე საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილისა და საქართველოს ვიცე-პრემიერის კუთვნილებაში მყოფი ბანკის „პროგრეს ბანკი“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეა, აგრეთვე, **KALA CAPITAL LIMITTED** სამეთვალყურეო საბჭოს წევრი და შპს „კალა კაპიტალის“ დირექტორი. ცოლ-ქმარმა წინასაარჩევნოდ ბლოკ „ქართულ ოცნებას“ 80 000 ლარი შესწირეს – ილია კეჭაყმაძე 2014 წლის 15 აპრილს 60 000 ლარი და მარინა დოლიძე-კეჭაყმაძე 2014 წლის 13 მაისი 20 000 ლარი. აქვე შეგახსენებთ, რომ „პროგრეს ბანკში“ უსაფრთხოების სამსახურის უფროსის თანამდებობა საქართველოს პრემიერის სიმამრს თამაზ თამაზაშვილს უკავია.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, გასაგები ხდება, რატომ აუკრძალა შსს გენერალურმა ინსპექციამ ძებნილი და დეპორტირებული კრიმინალური ავტორიტეტის დაკავება კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებს და როგორ შემოვიდა საქართველოში და მეორე დღეს ყოველგვარი პრობლემის გარეშე დატოვა ქვეყანა.

მიგვაჩნია, რომ საქართველოს ხელისუფლებისა და კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლების ასეთი თანამშრომლობა საფრთხეს უქმნის ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრიობას და თითოეული ჩვენი მოქალაქის უსაფრთხოებას.

მოვითხოვთ, სასწრაფოდ გამოძიებულ იქნას საქართველოს კანონმდებლობის უხეშად დარღვევის ფაქტი, შესწავლილ იქნას საზღვრის გადმოკვეთის ინფორმაცია, თბილისის აეროპორტის არსებული კამერების ჩანაწერები და დაისაჯოს ამ დანაშაულის ყველა მონაწილე“, – ნათქვამია „ნაციონალური მოძრაობის“ განცხადებაში.

ბრალდებას კალაძე მოკლედ პასუხობს: „სისულელეა, არ ვიცი, ამაზე სერიოზული კომენტარი როგორ უნდა გავაკეთო“. (ნიუპოსტი)

„პროგრეს ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ირმა ნადირაშვილის სკანდალურ ბრალდებასთან დაკავშირებით პირველ კომენტარს აკეთებს. როგორც ილია კეჭაყმაძემ „პირველ რადიოსთან" ექსკლუზიურ ინტერვიუში განაცხადა, ნადირაშვილის ბრალდება არის აფსურდი და ის ამასთან დაკავშირებით სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებს. კეჭაყმაძე ადასტურებს, რომ მას, მიუხედავად იმისა, რომ კალაძე 2 წელია „პროგრეს ბანკიდან" წასულია, ვიცე-პრემიერთან მეგობრული ურთიერთობა აქვს. რაც შეეხება ავტომანქანას სახელმწიფო ნომრით ძცძ 222, რომლითაც ნადირაშვილის განცხადებით, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში კანონიერ ქურდ „რემენას" დახვდნენ, კეჭაყმაძე აცხადებს, რომ ეს სერია მისი მეუღლის მანქანას ეკუთვნის, თუმცა კეჭაყმაძე ამბობს, რომ აეროპორტში ყოფნა სისულელეა. როგორც ის აცხადებს, იმ დღეს თბილისში საერთოდ არ იმყოფებოდა და დედაქალაქში 2 დღეა, რაც ჩამოვიდა. „ეს ჩემი მეუღლის მანქანაა, სერია და ნომერი, მაგრამ დანარჩენი რაც თქვა ირმა ნადირაშვილმა, სისულელეა და მე მაგისთვის მალე ვუჩივლებ სასამართლოში. არავინ არ იმყოფებოდა აეროპორტში, იმ დღეს მგონი საერთოდ არ ვიყავით თბილისში, რა დღეზეა საუბარი არც ვიცი, 2 დღეა ჩამოვედი, რა დღეზე ამბობს, რას ამბობს ნადირაშვილი არაფერი არ ვიცი. 10 დღეა თბილისში არ ვყოფილვარ. არაფერი არ ვიცი მე, „კანონიერი ქურდები" თვითონ არიან და მე არ ვიცი კანონიერი ქურდები", – აცხადებს ილია კეჭაყმაძე. (პირველი რადიო)

# სანომრე ნიშნებთან ერთად ავტომანქანის ნომრების დაჯავშნის წესიც იცვლება

შსს-ს მომსახურების სააგენტომ სატრანსპორტო საშუალებათა ახალი დიზაინის სანომრე ნიშნების საფასური განსაზღვრა და შესაბამისი საკანონმდებლო წინადადებით პარლამენტს მიმართა. ახალ საკანონმდებლო ინიციატივას პარლამენტი მიმდინარე კვირაში განიხილავს, ახალი სანომრე ნიშნების შეძენის შესაძლებლობა კი მოქალაქეებს მიმდინარე წლის შემოდგომიდან ექნებათ. სანომრე ნიშნებთან ერთად იცვლება მათი შენახვისა და დაჯავშნის წესიც.

რა ცვლილებებს ითვალისწინებს კანონპროექტი?

„ალიას“ ესაუბრება მომსახურების სააგენტოს სტრატეგიული განვითარების სამმართველოს საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი **ნათია ოქიტაშვილი**:

– ამ ეტაპზე განიხილება კანონპროექტი, რომელზეც პარლამენტი იმსჯელებს. პროექტის დამტკიცების შემდეგ ჩვენი ვებგვერდის, ასევე სხვადასხვა მედიასაშუალების დახმარებით მივაწვდით საზოგადოებას ინფორმაციას ყველა იმ ცვლილების შესახებ, რაც კანონპროექტის დამტკიცების შემდეგ განხორციელდება.

— **ახალ კანონპროექტში რა სიახლეებია ჩადებული?**

– საზოგადოებამ უკვე იცის, რომ შემოდგომიდან შემოდის ახალი სანომრე ნიშნები და ცვლილებების დიდი ნაწილი ეხება სწორედ ახალი სანომრე ნიშნების აღების, საფასურის გადახდისა და შენახვა-დაჯავშნის წესს. ახლა მოქმედი სანომრე ნიშნები არის სამი ლათინური ასოსა და სამი ციფრის კომბინაციით განსაზღვრული, ხოლო შემოდგომიდან უკვე იქნება ოთხი ლათინური შრიფტის კომბინაცია.

პროექტით განსაზღვრულია, რომ ძველი სანომრე ნიშნებით სარგებლობის უფლება ნებისმიერ მოქალაქეს აქვს 2020 წლის 1-ელ სექტემბრამდე. ხოლო მათ, ვისაც უნდათ ახალი სანომრე ნიშნის აღება, თავისუფლად შეუძლიათ აიღონ ახალი. ვისაც ფასიანი ნომერი აქვს, შეუძლია იგივე ფასის სანომრე ნიშანში გადაცვალოს. თუ უფრო ძვირიანი ნომრის აღება უნდა პირს, მის მიერ სანომრე ნიშანში გადახდილი თანხა ეთვლება (უნარჩუნდება) და ამ თანხას შეუძლია დაამატოს და აიღოს უფრო ძვირიანი ნომერი.

— **სანომრე ნიშნების შენახვა-დაჯავშნის წესში რა იცვლება?**

– გარკვეულწილად იცვლება.




როდესაც მომსახურების სააგენტოს საიტზე შებრძანდებით **(http://sagency.ge/)** იქ არის მოცემული პერსონალური გვერდი, რომელსაც ჰქვია „ჩემი გვერდი“. „ჩემს გვერდზე“ რეგისტრირდება პიროვნება თავისი პირადი ნომრით, ტელეფონის ნომრით, იმეილით და ა.შ. „ჩემი გვერდის“ შევსებისას პირი უთითებს ყველა საკომუნიკაციო მისამართს. ამის შემდეგ მას საშუალება აქვს საიტზე ნახოს ინფორმაცია, რაც მის პირად ინფორმაციას შეადგენს, ესაა მისი ავტომობილის სანომრე ნიშნები, ჩაბარებული გამოცდების (მართვის მოწმობის) შესახებ ინფორმაცია, ასევე არის ინფორმაცია მის სახელზე არსებული სატრანსპორტო საშუალებების შესახებ, თუკი რაიმე ყოფილა პირის სახელზე რეგისტრირებული, ყველა ინფორმაცია ჩანს. ამ გვერდზევე შეუძლია პირს გააკეთოს განაცხადი ნასამართლობის ცნობაზე და ასევე სხვა ცნობებზე, რომელსაც გასცემს მომსახურების სააგენტო.

— **ეს ერთი სიახლეა მომსახურების სააგენტოს მხრიდან თუ უბრალოდ, გააუმჯობესეთ?**

– ეს სიახლეა და განსაკუთრებით კარგია უცხოეთში მცხოვრები პირებისთვის, ვინაიდან ნასამართლობის შესახებ ცნობა შეუძლია, შეავსოს ონლაინ რეჟიმში და მიუთითოს მინდობილი პირის ვინაობა. ამის შემდეგ მინდობილობით გაიტანს პირი უცხოეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქის სახელზე გაცემულ ცნობას ნასამართლობის შესახებ. ჩვენს ვებგვერდზევე, მარცხენა მხარეს არის სანომრე ნიშნები, საიდანაც შესაძლებელია, პირმა მოიძიოს თავისთვის სასურველი ნიშანი და მოხდეს მისი დაჯავშნაც.

— **ადრე პირველ გვერდზევე იყო გამოტანილი სანომრე ნიშნები და ნებისმიერ პირს შეეძლო დაეჯავშნა ნომერი, ახლა რეგისტრაციის გავლის შემდეგ ხდება ეს ყველაფერი, რატომ?**

– დიახ, ეს უფრო გამარტივებულია მომხმარებლისთვის. მას შემდეგ რაც ისინი გაივლიან რეგისტრაციას ვებგვერდზე, ყველა იმ სერვისით სარგებლობა იქნება შესაძლებელი ონლაინ რეჟიმში, რა მომსახურების მიღებაც მომსახურების სააგენტოსგან არის შესაძლებელი. მათ შორის სანომრე ნიშნების დაჯავშნა. პირველ გვერდზე მხოლოდ ფასიანი ნომრების საფასურებია გამოტანილი. თუკი ნომრის დაჯავშნა უნდა ადამიანს, აუცილებლად უნდა გაიაროს „ჩემს გვერდზე“ რეგისტრაცია.

— **სანომრე ნიშნების დაჯავშნის სხვა ალტერნატიული საშუალება თუ არსებობს?**

– დიახ, ნებისმიერ მოქალაქეს საშუალება აქვს, „ფეი ბოქსების“ საშუალებითაც დაჯავშნოს სანომრე ნიშნები.

— **როგორ?**

– თუკი პირი ვერ მოხვდება კომპიუტერთან და მას სჭირდება სანომრე ნიშნების დაჯავშნა, შეუძლია სწრაფი გადახდის აპარატების „ფეი ბოქსების“ საშუალებით დაჯავშნოს ნომერი. „ფეი ბოქსის“ მონიტორზე არის გრაფა „მომსახურების სააგენტო“, როდესაც იქ შევა, მომხმარებელი უკვე ნახავს სანომრე ნიშების დაჯავშნას, შემდეგ მიჰყვება ინსტრუქციას და ასე შეძლებს, დაჯავშნოს სანომრე ნიშანი. თავისუფალი არის თუ არა სანომრე ნიშანი, შესაძლებელია ამის შემოწმება როგორც ჩვენს ვებგვერდზე, ასევე „ფეი ბოქსების“ საშუალებით.

შორენა გოგოლაძე
599 22 75 27

*თემის გაგრძელება მერვე გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მოვარდნილმა წყალმა ბულაჩაურელები დააზარალა



ბულაჩაურში სტიქიის გამო ჩახერგილი გზა უკვე გაწმენდილია. ამჟამად ხევის კალაპოტის დასუფთავება მიმდინარეობს. სწორედ ამ ხევის დაგუბებამ გამოიწვია სოფელში წყლის მოვარდნა, რის გამოც მოსახლეობა დაზარალდა.

ადგილზე მობილიზებულია მძიმე ტექნიკა. პარალელურად იწმინდება სოფლის შიდა გზებიც. დუშეთში რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენლები იმყოფებიან. სტიქიამ ბულაჩაურთან ერთად კიდევ რამდენიმე სოფელი დააზარალა. ზარალის დათვლა უკვე დაწყებულია. (ნიუპოსტი)

## პანკისის ხეობაში სამაშველო სამუშაოები დასრულებულია



პანკისის ხეობაში სამაშველო სამუშაოები დასრულებულია. მამაკაცი, რომელიც წყალდიდობის გამო მდინარის შუაში, ე.წ კუნძულზე იყო ჩარჩენილი, სამაშველო სამსახურებმა გამოიყვანეს. კახეთის გუბერნატორის ირაკლი შიოლაშვილის განცხადებით:

„სამაშველო სამუშაოები დავასრულეთ. მდინარე ადიდდა. იყო საშიშროება, რომ ერთი მოქალაქე, რომელიც მდინარის შუაში იყო დარჩენილი, ვერ გადმოვიდოდა თვითონ. გუბერნიის სამაშველო სამსახურებმა და ადგილობრივი თვითმმართველობის თანამშრომლებმა, სოფლის მოსახლეობამ ერთობლივად მოვახერხეთ ამ ადამიანის გადმოყვანა და გადარჩენა.

ამ დროისთვის რეგიონში სერიოზული ინფრასტრუქტურული ზარალი არ გვაქვს.

ერთადერთი, სოფელ საკობიანოსთან არის ცენტრალური გზის ნაწილზე წყალი გადმოსული, ტექნიკა მუშაობს. ასევე პატარ-პატარა ნაკვეთებია დაზიანებული“, – აცხადებს შიოლაშვილი. (ნეწს.გე)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „რაც ხდება უგულავასთან დაკავშირებით, უნდობლობას აჩენს“




„ახალი მემარჯვენეების“ ლიდერი, ფიქრია ჩიხრაძე თვლის, რომ დედაქალაქის ყოფილი მერის, გიგი უგულავას საქმის დროში გაწელვით, ხელისუფლება საზოგადოებას საკენკს უყრის და საზოგადოებაში უნდობლობის დანერგვას უწყობს ხელს.

„თითქოს ერთი საქმე დასრულდება უგულავასთან დაკავშირებით და ამ დროს მეორე საქმე იწყება. არ მინდა საზოგადოებას გავუჩინოთ აზრი, თითქოს მათ ხელისუფლება საკენკს უყრის. თუ არსებობს ბრალეულობა, ერთდროულად უნდა წაუყენო ეს ბრალი. მერე თუ სხვა გარემოებები გამოიკვეთება, ეს სხვა საკითხია. მაგრამ ის, რაც ხდება უგულავასთან დაკავშირებით საზოგადოებაში უნდობლობას აჩენს და პოლიტიკურ შეფერილობას აძლევს“, – აღნიშნა ჩიხრაძემ. (რეპორტიორი)

## პოლიტპარტიები საყდრის-ყაჩაღიანთან დაკავშირებით მიმართვას ავრცელებენ




„მივმართავთ საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ გიორგი მარგველაშვილს, საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ბატონ დავით უსუფაშვილს თხოვნით:

1. აღუდგეს კულტურული ძეგლის სტატუსი მსოფლიოში უძველეს საყდრის-ყაჩაღიანის ოქროს მაღაროს;
2. გაგრძელდეს საყდრის-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროს არქეოლოგიური სამეცნიერო კვლევა;
3. სამთავრობო დონეზე იქნას შესწავლილი ბოლნისის რაიონის ეკოლოგიური პრობლემები;
4. სათანადო ყურადღება მიექცეს ამ რაიონში მაცხოვრებელ და დასაქმებულ პირთა შრომისა და ჯანმრთელობის უფლებებს“. – ნათქვამია მიმართვაში.

განცხადებას ხელს აწერენ: „საქართველოს გზა“, „თავისუფალი საქართველო“, „ქართული დასი“, „სახალხო პარტია“, „პატრიოტთა ალიანსი“, „დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველო“, „ლეიბორისტული პარტია“, „ქრისტიან-დემოკრატიული პარტია“, „მწვანეთა პარტია“, „რესპუბლიკური პარტია“, „ახალი მემარჯვენეები“. (რეპორტიორი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



# პრესტიჟული ნომრები ძვირდება!

„ალიას“ 1-ლი ივლისის ნომერში შემოგთავაზეთ საინფორმაციო სააგენტოს ინფორმაცია ახალი სანომრე ნიშნების ფასების შესახებ. სამწუხაროდ, აღმოჩნდა, რომ ინფორმაცია შეეხებოდა არა ახალ, არამედ დღეს მოქმედ სანომრე ნიშნებს. ამიტომ, გთავაზობთ იმ ვერსიას, რომელიც პარლამენტში დასამტკიცებლად გადაიგზავნა.

მომსახურების სააგენტოს მიერ მომზადებული პროექტის გათვალისწინებით, უცვლელი რჩება სახელმწიფო სანომრე ნიშნის აღებისთვის, ასევე დაკარგული ან დაზიანებული სანომრე ნიშნების აღდგენისთვის განსაზღვრული საფასური და კვლავ 35 ლარს შეადგენს. თუმცა, მძღოლებს, რომლებიც უპირატესობას ე.წ. პრესტიჟულ ნომრებს ანიჭებენ, ასეთი სანომრე ნიშნების შეძენა უფრო ძვირი დაუჯდებათ, ვიდრე აქამდე არსებული დიზაინის პრესტიჟული ნომრებისთვის იხდიდნენ. მაგალითად, დღეს მოქმედი კანონის გათვალისწინებით, სანომრე ნიშანი, რომლის ლათინური შრიფტის სამივე ასო ერთნაირია, ხოლო ციფრების კომბინაციაა 111-დან 999-ის ჩათვლით (მაგ: **BBB- 333**), 800 ლარი ღირს. ახალი დიზაინის სანომრე ნიშნების შემთხვევაში კი, როცა სერიის შემადგენელი ოთხივე ლათინური ასო იდენტურია, იდენტური ციფრებით (მაგ: **BB - 333 - BB**) ფასი 1000 ლარი იქნება.




ასევე დღეს 400 ლარი ღირს სანომრე ნიშანი, რომლის ლათინური შრიფტის სამივე ასო იდენტურია, ხოლო ციფრების კომბინაცია იცვლება 100-დან 900-ის ჩათვლით (მაგ: **NNN - 400**), პარლამენტში წარდგენილი პროექტის მიხედვით კი, სანომრე ნიშანი, მაგ: **NN - 400 - NN**, 600 ელირება.

პარლამენტში წარდგენილი კანონპროექტის თანახმად, „პრესტიჟული“ ნომრების საფასურები შემდეგნაირად განისაზღვრა: ავტომობილის რეგისტრაციის ნომრის (სახელმწიფო სანომრე ნიშნის) ერთი წყვილის გაცემა, რომლის სერიის შემადგენელი ოთხივე ლათინური ასო იდენტურია, ხოლო ნომრის შემადგენელი ციფრების კომბინაციაა:

111, 222, 333, 444, 555, 666, 777, 888, 999 (მაგ: **AA - 111 - AA**) - 1000 ლარი;

001, 002, 003, 004, 005, 006, 007, 008, 009 (მაგ: **BB - 002 - BB**) - 800 ლარი;

100, 200, 300, 400, 500, 600, 700, 800, 900 (მაგ: **CC - 300 - CC**) - 600 ლარი;

ავტომობილის რეგისტრაციის ნომრის ერთი წყვილის გაცემა, რომლის სერიის შემადგენელი ოთხი ლათინური ასოდან მხოლოდ სამია იდენტური, ხოლო ნომრის შემადგენელი ციფრების კომბინაციაა:

111, 222, 333, 444, 555, 666, 777, 888, 999 (მაგ: **GT - 444 - TT**) - 800 ლარი;

001, 002, 003, 004, 005, 006, 007, 008, 009 (მაგ: **YU - 005 - YY**) - 600 ლარი;

100, 200, 300, 400, 500, 600, 700, 800, 900 (მაგ: **WW - 600 - PW** ) - 400 ლარი;

ავტომობილის რეგისტრაციის ნომრის ერთი წყვილის გაცემა, რომლის სერიის შემადგენელი ოთხი ლათინური ასოს კომბინაცია შედგება სერიაში იდენტური წყვილის მქონე, ორი არაიდენტური ლათინური ასოსგან, ხოლო ნომრის შემადგენელი ციფრების კომბინაციაა:

111, 222, 333, 444, 555, 666, 777, 888, 999 (მაგ: **SO - 777 - SO**) - 800 ლარი;

001, 002, 003, 004, 005, 006, 007, 008, 009 (მაგ: **NN - 008 - MM**) - 600 ლარი;

100, 200, 300, 400, 500, 600, 700, 800, 900 (მაგ: **DF - 900 - FD**) - 400 ლარი;

ავტომობილის რეგისტრაციის ნომრის ერთი წყვილის გაცემა, რომლის სერიის შემადგენელი ოთხი ლათინური ასოდან მხოლოდ ორია იდენტური, ხოლო ნომრის შემადგენელი ციფრების კომბინაციაა:

111, 222, 333, 444, 555, 666, 777, 888, 999 (მაგ: **RR - 111 - PO**) - 700 ლარი;

001, 002, 003, 004, 005, 006, 007, 008, 009 (მაგ: **TU - 002  KU**) - 500 ლარი;

100, 200, 300, 400, 500, 600, 700, 800, 900 (მაგ: **EI - 300 -  LL**) - 300 ლარი;

ავტომობილის რეგისტრაციის ნომრის ერთი წყვილის გაცემა, რომლის სერიის შემადგენელი ოთხივე ლათინური ასო არაიდენტურია, ხოლო ნომრის შემადგენელი ციფრების კომბინაციაა:

111, 222, 333, 444, 555, 666, 777, 888, 999 (მაგ: **NJ - 444 - HZ**) - 250 ლარი;

001, 002, 003, 004, 005, 006, 007, 008, 009 (მაგ: **VX - 005 - MW**) - 200 ლარი;

100, 200, 300, 400, 500, 600, 700, 800, 900 (მაგ: **QR - 600 - FD**) - 150 ლარი;

კვლავ 10-ათასი ლარი ეღირება სანომრე ნიშანი, რომლის ლათინური შრიფტი პირისთვის სასურველ ასოთა ან ციფრთა კომბინაციისაგან შედგება - მაგალითად, **GEORGI - 1**;




არსებულთან შედარებით, ზოგიერთ შემთხვევაში, 50-100 ლარის ფარგლებში მეტი იქნება ავტომობილის ისეთი სარეგისტრაციო ნომრები, რომლის სერია და ნომერი პირის სურვილით შერჩეული ლათინური ასოებისა და ციფრების კომბინაციით არის შედგენილი. კერძოდ, პარლამენტში წარდგენილი პროექტის მიხედვით, ისეთ შემთხვევაში, თუ სერიის შემადგენელი ოთხივე ლათინური ასო იდენტურია, ხოლო ნომერი შედგება სამი ციფრის კომბინაციისგან (მაგ: **DD - 707 - DD**) საფასური 450 ლარია (დღეს არსებული დიზაინის შესაბამისად, პირის სურვილისამებრ შედგენილი ასეთი ტიპის სანომრე ნიშანი 350 ლარი ღირს); ასევე პირის სურვილის გათვალისწინებით შერჩეულ ლათინურ ასოთა და ციფრთა კომბინაციით, თუ სერიის შემადგენელი ოთხი ლათინური ასოდან მხოლოდ სამია იდენტური, ხოლო ნომერი სამი ციფრის კომბინაციისგან შედგება, ის 350 ლარი ეღირება (მაგ: **FF - 050 - FG**); ასეთი შემთხვევებისას, ასევე 350 ლარით განისაზღვრა ისეთი ნომრების საფასური, როცა სერიის შემადგენელი ოთხი ლათინური ასოს კომბინაცია შედგება სერიაში იდენტური წყვილის მქონე, ორი არაიდენტური ლათინური ასოსგან, ხოლო ნომერი შედგება სამი ციფრის კომბინაციისგან (მაგ: **DF - 080 - FD**); გარდა ამისა, თუ სერიის შემადგენელი ოთხი ლათინური ასოდან მხოლოდ ორია იდენტური, ხოლო ნომერი შედგება სამი ციფრის კომბინაციისგან (მაგ: **DD - 305 - FS**) ეღირება 300 ლარი, ხოლო თუ სერიის შემადგენელი ოთხივე ლათინური ასო არაიდენტურია, ხოლო ნომერი შედგება სამი ციფრის კომბინაციისგან (მაგ: **DX - 040 - WQ**) მისი საფასური იქნება 250 ლარი. (ავტობილდი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## პატრიარქი სინოდის გადაწყვეტილებას არ ასრულებს



25 დღე გავიდა მას შემდეგ, რაც მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდმა არქიმანდრიტი დემეტრე თეთრუაშვილი ეპისკოპოსად დაასახელა, თუმცა იგი კახისა და ქურმუხის ეპარქიის წინამძღოლად პატრიარქს ჯერ არ უკურთხებია.

3 ივნისს გამართულ სინოდის სხდომაზე დემეტრე თეთრუაშვილთან ერთად სინოდმა კიდევ 3 სასულიერო პირი შეარჩია მღვდელმთავრად, სამივე მათგანი უკვე მთავარეპისკოპოსად ეკურთხა.

სინოდის გადაწყვეტილების აღსრულების გაჭიანურების მიზეზი უცნობია.

„ინტერპრესნიუსისთვის“ მიცემულ კომენტარში მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქის მდივანი მიქაელ ბოტკოველი ამბობს, რომ მისი ინფორმაციით, დემეტრე თეთრუაშვილის ეპისკოპოსად კურთხევა „დროებით შეჩერდა“, ხოლო იმაზე, თუ რა გახდა ამის მიზეზი, ბოტკოველის თქმით, თავად სინოდის წევრებმა უნდა ისაუბრონ.

ჩვენ ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოს მელქისედეკს ვესაუბრეთ ტელეფონით, რომელიც სინოდის წევრია და რომლის ეპარქიიდანაც უნდა გამოიყოს, სინოდის განჩინებით, კახისა და ქურმუხის ეპარქია და მის წინამძღოლად ეკურთხოს არქიმანდრიტი დემეტრე. თუმცა მეუფე მელქისედეკმა ამ საკითხებზე პასუხების გაცემა არ ისურვა და საპატრიარქოს პრესსამსახურთან გადაგვამისამართა:

„ჩემი თხოვნა იქნება, დაუკავშირდეთ საპატრიარქოს პრესსამსახურს, სინოდის წევრებმა დაადგინეს სინოდის სხდომაზე, დანარჩენი – რატომ არ სრულდება, საპატრიარქოს პრესსამსახურს სთხოვეთ განმარტება“.

საპატრიარქოს პრესსამსახურში განაცხადეს, რომ ამ თემაზე პასუხის გაცემა არ შეუძლიათ. არქიმანდრიტ დემეტრეს ეპისკოპოსად კურთხევის საკითხს არც თავად პატრიარქი ილია მეორე გამოხმაურებია რაიმე განმარტებით თავის საკვირაო ქადაგებაში. ჩვენ თავად დემეტრე თეთრუაშვილთანაც ვცადეთ დაკავშირება, მაგრამ უშედეგოდ. (ნეტგაზეთი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „მარტო საქართველოშია შეუძლებელი ნაცისტების დაპატიმრება...“



„პატრიოტთა ალიანსის“ თბილისის მერობის კანდიდატი ირმა ინაშვილი ნიკოლა სარკოზის დაკავების ფაქტს სოციალურ ქსელში ეხმაურება:

„ე.ი. მარტო საქართველოშია შეუძლებელ-დაუშვებელი ნაცისტების დაპატიმრება, სააკაშვილით დაწყებული უგულავათი გაგრძელებული. კითხვა: სარკოზი პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლია?! რატომაა მარტო ჩვენთან „პოლიტიკური ნიშნით დევნა“ სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმიტანილი პოლიტიკოსების დაკითხვა, თუ დაპატიმრება?!“ – წერს ირმა ინაშვილი. (რეპორტიორი)



## ჯავახეთის სომხები სომხური ენისთვის რეგიონული სტატუსის მინიჭებას ითხოვენ

სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის სომხური საზოგადოებრივი ორგანიზაციების საკოორდინაციო საბჭო ქვეყნის ევროინტეგრაციას მიესალმება და ამ კონტექსტში რამდენიმე მოთხოვნას აყენებს.

„სამცხე-ჯავახეთის სომეხი ეროვნების მოსახლეობა ვიმედოვნებთ, რომ ევროპული გზის ერთგული საქართველო, გაითვალისწინებს რეგიონის სომეხი ეროვნების მოქალაქეების წუხილსა და მოთხოვნებს. ყველა ჩვენი მოთხოვნა ევროპულ ნორმებიდან არის აღმოცენებული და ევროპული სამართლის სტანდარტებს ეყრდნობა. ჩვენი მოთხოვნები შემდეგია:

1. სომეხი ეროვნების მოქალაქეებით დასახლებულ რაიონებში სომხური ენის სტატუსის განსაზღვრა. ევროპული სამართლის ნორმების დაცვით რეგიონული ენის სტატუსის მინიჭება;
2. ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმაში სამცხე-ჯავახეთის ყველა მსხვილი ქალაქის სრულყოფილი და თანაბარუფლებიანი ჩართვა;
3. საზოგადოებრივ, რელიგიურ, კულტურულ და საგანმანათლებლო სფეროებში არსებული დისკრიმინაციის აღმოფხვრა;
4. საზოგადოებრივ ცხოვრებაში ძალოვანი სტრუქტურების უკანონო ჩარევისა და მოქალაქეების მიმართ დევნის აღმოფხვრა;
5. საბჭოთა ოკუპაციის დროს ჩამორთმეული საკულტო შენობა-ნაგებობების სამართლებრივი მემკვიდრისთვის დაბრუნება;
6. ქართულ-სომხური უნივერსიტეტის გახსნა;
7. სომეხი ეროვნების მოქალაქეებით დასახლებულ რაიონებში დემოგრაფიული სურათის უკანონო შეცვლის მცდელობების აღმოფხვრა.

სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის სომხური საზოგადოებრივი ორგანიზაციების საკოორდინაციო საბჭოს მოთხოვნები სამართლიანია, ვინაიდან ქვეყნის სომეხი მოქალაქეების წუხილსა და სასიცოცხლო მნიშვნელობის საჭიროებებზე ეყრდნობა. ყველა ჩვენი მოთხოვნა ევროპულ სტანდარტებთან და მოქმედ ევროპულ სამართლებრივ ნორმებთან არის უშუალოდ დაკავშირებული. აღნიშნული მოთხოვნების გაზიარება და შესრულება ჩვენი სამშობლოს ეროვნულ და სახელმწიფოებრივ ინტერესთან არის უწყვეტ კავშირში", – აღნიშნულია განცხადებაში. (ნენს.გე)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





# მამა ელიზბარი: „ანტიდისკრიმინაციულ კანონს რომ 112 კაცმა მოაწერა ხელი და შენ სინოდის კრებაზე რომ შეცვალე აზრი, თუმცა პატრიარქი ბრძანებდა, არ მოაწეროთ ხელიო“

**„ევროკავშირში გვინდა შესვლა? ჯერ არსად წამიკითხავს, ერს ასე ეზეიმოს გაუპატიურება! რა გეზეიმება, ქვეყნის დაქცევას რომ მომიწერეს ხელი? და ზუსტად ამიტომ ვტოვებ ამ ქვეყანას. ამ ზნედაცემული ხალხის ქვეყანაში ცხოვრებას არ ვაპირებ“**

**„ალიას“ ესაუბრება წმინდა სამების ტაძრის დიაკონი მამა ელიზბარ დიაკონიძე:**

– უკვე აღარ ვისაუბრებ ამის შემდეგ ეკლესიაზე, რომლის წევრიც მე თურმე აღარ ვარ (ეცინება)! კათალიკოსის მდივანმა მიქაელ ბოტკოველმა ბრძანა, რომ თურმე მე არც ანაფორის ტარების უფლება მაქვს და საერთოდ, ეკლესიის წევრი არ ვყოფილვარ! მან თურმე, უზიარებლობით დამსაჯა თავისი მოკლე ჭკუით. ამ დროს აკადემია აქვს დამთავრებული და სემინარიაში ძველი აღთქმის პედაგოგია. სჯულის კანონში ჩაიხედოს და ნახოს, ვინ უნდა ისჯებოდეს უზიარებლობით, ვგულისხმობ მამათმავლობასა და უბედურებაში მხილებულ მის „ძმებს“, რომლებიც დღესაც განაგრძობენ საქართველოს ეკლესიაში მოღვაწეობას და ფუთფუთს და მე, რატომღაც, თურმე უზიარებლობით ვისჯები!

**— მართლა არ ეზიარებით?**

– როგორ არ ვეზიარები? ჩვეულებრივად დავდივარ ეკლესიაში და ვეზიარები, იმ წესით, რა წესითაც მეკუთვნის ზიარება! ასე რომ, არაფერი დამირღვევია. სულ მალე საქართველოდანაც მივდივარ და თქვენ ეს იცით, აგერ ჩემი ბრძანება



დაწერილია (მაჩვენებს ბრძანებას), რაც ჩამომივიდა საბერძნეთიდან და წაგიკითხავთ: „მოცემული დოკუმენტის თანახმად, რომელიც ხელმოწერილია, და ბეჭედდასმულია მღვდელმთავრის მიერ, ვადასტურებთ, რომ ელიზბარ დიაკონიძე არის ეკლესიის მსახური სასულიერო პირი, ზემოაღნიშნული სინოდის წევრი და წინამძღვარი ამა და ამ ქალაქის ეკლესიის“, ქალაქს ჯერ არ ვიტყვი და ესაა ბრძანება.

**— და სულ წახვალთ?**

– არსად არ მივდივარ სულ და იქ თუ წავალ, ეს იქნება ხმლის ასალესად წასვლა, იქ ამ საქმის ხალხი მეგულება და მერე მიყურონ მაგათ. მაგრამ ცოტა ხნით მომიწევს წასვლა, რადგანაც ქართველი ხალხი გამოფხიზლებას არ აპირებს და მინდა შევუთვალო მათ, ვინც თურმე არ მიცნობს ეკლესიაში და ამ გვარისა და სახელის ადამიანი არ გაუგიათ, რომ, თუთაშხიასი არ იყოს, დამანებონ თავი, მე არ ვარ მათთვის საშიში. თუ ჭკუა აქვთ, საშიში მათ წიაღში ვინც არის, ის ხალხია. მათ სათოფეზე აღარ ვეკარები არც სიტყვით, არც არაფრით. სანამ ვიყავი და ეკლესიის წიაღში გასამათრახებელს არ ვაკლებდი მათრახს, ახლა უკვე აღარ მაინტერესებს და ამაზე საშინელება არაფერია, თუ დამიჯერებთ, როცა აღარ აინტერესებ ადამიანს, ცუდად იქცევი, თუ კარგად. კაცი სანამ გითითებს, მანამ შენ აინტერესებ და უნდა, რომ უკეთესი იყო, მაგრამ, თუ არც გითითებს, არც გაქებს და არც გეხმიანება, ეს მეტყველებს იმაზე, რომ ეს უკვე იგნორია და ეგ დამმართეს, ამიტომ კარგად იყვნენ. მამა მიქაელი ჩემი საუკეთესო მეგობარი და ჩემი ოჯახის წევრივით იყო, ფაქტებს გავიხსენებ, თუ მისი ქორწილისას, სადაც მიწვეული ვიყავი, თუ იმას, რომ ჩვენი მეუღლეები მეგობრობდნენ და ერთად მსახურობდნენ. მამა მიქაელ ბოტკოველი მეუფე ზოსიმეს მძღოლი იყო მაშინ და კარგად ახსოვს, მაშინ მომხდარი სცენები, როცა მეუფეს სტუდენტები აუჯანყდნენ, მაგრამ მერე ვერ მივხვდი, რა მოხდა! თუმცა, რაც მოხდა, მოხდა... ვგულისხმობ იმ ფაქტს, რომ ციხეც გამოვიარე, მაგრამ სააკაშვილის მთავრობა მე არ მერჩოდა, ის ციხე გამოვიარე ისევ მღვდლების ხელშეწყობით და ამის შესახებ არასოდეს არ მითქვამს ხმამაღლა, რადგანაც მათ ვაპატიე, მაგრამ, ბიჭო, შენი მიზეზით რომ ვზივარ ციხეში, ეგ დიაკვნობაში იჯდა ციხეშიო, ამას ჟურნალისტს ეუბნები? ეს თუ ნაკლი იყო ჩემთვის, რატომ დააჭერინე ჩემი თავი? ან, რაღაზე აღმიდგინე ხარისხი? ვერ გავიგე! ყველაზე დიდი, თვით უფალი იჯდა ციხეში და მერე? შემინდე და მაპატიე, უფალო, მას რას შევედრები სიწმინდით, მაგრამ მე ვინ დამინდობს, როცა ის არ დაინდეს? მე უფალთან შედარებით რისი სიკვდილი ვარ, ან რას წარმოვადგენ? ჰოდა თუთაშხიას იმიტომ გიხსენებთ ხშირად, რომ იქ ასეთი სიტყვებია: მაგის კაცები არ ხართ, თქვენ რომ მესროლოთ, ის კაცები ხართ, დურუ

**„კათალიკოსის მდივანმა მიქაელ ბოტკოველმა ბრძანა, რომ თურმე მე არც ანაფორის ტარების უფლება მაქვს და საერთოდ, ეკლესიის წევრი არ ვყოფილვარ! მან თურმე, უზიარებლობით დამსაჯა თავისი მოკლე ჭკუით... სჯულის კანონში ჩაიხედოს და ნახოს, ვინ უნდა ისჯებოდეს უზიარებლობით, ვგულისხმობ მამათმავლობასა და უბედურებაში მხილებულ მის „ძმებს“, რომლებიც დღესაც განაგრძობენ საქართველოს ეკლესიაში მოღვაწეობას...“**

*გაგრძელება მე-10 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „მასტერა“ ჰოლანდიაში პოლიტიკურ თავშესაფარს ითხოვს




სამხედრო პოლიციის ყოფილი მაღალჩინოსნის გია დგებუაძის („მასტერა“) ადვოკატის ირაკლი გრძელიშვილის განცხადებით, დგებუაძე ჰოლანდიაში პოლიტიკურ თავშესაფარს ითხოვს. მისი თქმით, დგებუაძემ საქართველო 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე კარგა ხნით ადრე დატოვა.

„გიორგი დგებუაძე უკვე დიდი ხანია, იმყოფება იმ ქვეყანაში, სადაც მისი დაკავება მოხდა, ანუ ჰოლანდიაში. ის პოლიტიკურ თავშესაფარს ითხოვს. ინფორმაცია, თითქოს მან საქართველო არჩევნების შემდეგ დათა ახალაიასთან ერთად დატოვა, ტყუილია. დგებუაძე, არჩევნებამდე კარგა ხნით ადრე გადაკვეთა საზღვარი. ნამდვილად არ იყო ცნობილი ის გარემოება, თუ ვინ გაიმარჯვებდა საქართველოში. მისი წასვლა წინა ხელისუფლების მიერ არჩევნების წაგებას არ უკავშირდება“, – განაცხადა გრძელიშვილმა.

გიორგი დგებუაძე 30 ივნისს დააკავეს. (ნიუპოსტი)



## ავარიაში 7 ადამიანი დაშავდა

თბილისში, გორგასალის ქუჩაზე მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 7 ადამიანი დაშავდა. საგანგებო სიტუაციების სამსახურის უფროსის, თემურ გიორგაძის განცხადებით, ერთმანეთს „ბეემვე“-ს მარკის ავტომობილი და სამარშრუტო ტაქსი შეეჯახა.

დაშავებულების ნაწილს სამედიცინო დახმარება ადგილზე გაეწიათ, ნაწილი ამ სამედიცინო დაწესებულებაში არიან გადაყვანილი. (ნიუპოსტი)

## „მსოფლიო საქართველოს ეკონომიკური მაჩვენებლის 5.5 პროცენტამდე ზრდას ვარაუდობს“



შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრი მიიჩნევს, რომ მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში ასოცირების შეთანხმება საქართველოს ეკონომიკის ზრდას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს. ამის შესახებ კარლ ბილდტმა თბილისში გამართული ოფიციალური შეხვედრების შემდეგ „ტვიტერზე“ დაწერა:

„მიმდინარე რეფორმებით მსოფლიო ბანკი 2014-2017 წლებში საქართველოს ეკონომიკური მაჩვენებლის 5.5 პროცენტამდე ზრდას ვარაუდობს, რასაც ევროკავშირის შეთანხმებაც ხელს შეუწყობს“, – წერს ბილდტი. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ლაგოდეხში უკანონოდ მოკლული 2 ჯიხვი აღმოაჩინეს




გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში სოფელ მსხალგორში უკანონო ნადირობის შედეგად მოკლული 2 ჯიხვი ამოიღეს.

დაღესტნური ჯიხვი საქართველოს „წითელ ნუსხაშია“ შეტანილი. გარემოზე მიყენებულმა ზიანმა 130.000 ლარი შეადგინა. სამართალდამრღვევებს უკანონო ნადირობისას გამოყენებული იარაღი და 30 კილოგრამამდე ოდენობის ჯიხვის ხორცი ჩამოერთვათ. ვინაიდან, აღნიშნული ქმედება, საქართველოს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს შეიცავს, მასალები შემდგომი რეაგირებისთვის სამართალდამცავ ორგანოებს გადაეგზავნა. (ნიუპოსტი)

## საკადრო წმენდის მორიგი ტალღა ქუთაისის მერიაში



ქუთაისის ახლად არჩეული მერი შოთა მურღულია მერიაში რეორგანიზაციასა და დასაქმებულთა რაოდენობის შემცირებას გეგმავს.

ქუთაისის მერიაში დასაქმებული დაახლოებით 800-მდე ადამიანიდან სამსახურს 300-350 ადამიანი შეინარჩუნებს. რადგან თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით, თვითმმართველ ქალაქებსა და მუნიციპალიტეტებში დასაქმებულ საჯარო მოხელეთა რაოდენობა უკვე განისაზღვრა. თვითმმართველობის კოდექსით, ყოველ ხუთას ამომრჩეველზე ერთი საჯარო მოხელე მოდის. ქუთაისში კი დაახლოებით 160 000 ამომრჩეველს ითვლიან.

რაც შეეხება მერიაში ამ დროისთვის არსებული 18 სამსახურის ბედს, მათგან ფუნქციონირებას 9 სამსახური განაგრძობს, ხოლო დარჩენილი სამსახურები გაერთიანდება. ცვლილების შემდეგ, ქუთაისის მერიაში სულ 13 თანამდებობის პირი იქნება. აქედან, 9 სამსახურის უფროსი, სამი ვიცე-მერი და ქალაქის მერი.

მერიაში უკვე მუშაობენ რეორგანიზაციის გეგმაზე. გეგმის განხორციელება შოთა მურღულიას შვებულებიდან დაბრუნების შემდეგ დაიწყება. მურღულიას უფასო შვებულების ვადა 5 ივლისს უმთავრდება. მერს სამსახურში 7 ივლისს ელოდებიან.

შეგახსენებთ, რომ რეორგანიზაცია ქუთაისის მერიაში გასული წლის ზაფხულშიც განხორციელდა. ყოფილმა მერმა დიმიტრი კოპალიანმა სამსახურიდან 80-მდე თანამშრომელი გაათავისუფლა. (ნეწს.გე)

*მეცხრე გვერდიდან*

ძიგუას რომ ესვრითო. თუ გახსოვთ, ხარბი დურუ ძიგუა ადამიანურად დაასაფლავეს, მაგრამ თუთაშხია შვილს მოაკვლევინეს და საფლავიც არ არის მისი. მე ძიგუასნაირ დასაფლავებას, თუთაშხიასნაირი ცხოვრება მირჩევნია.

**— აბრაგობას ხომ არ აპირებთ?**

– (ეცინება) შედარებას ვახდენ, თორემ არც აბრაგობას ვაპირებ და არც მაუზერებით სირბილს. როცა არ ვარ შენი მტერი და მხოლოდ მამხილებელი პატარა მარცვალი ვარ, ნუ გადამაქცევ მტრად, ძალიან გთხოვ. უფალს მადლობა, რომ ანაფორა ჩავიცვი, ჩემი ცხოვრების მანძილზე კი უამრავი ტკივილი გადავიტანე: რუსეთის ჯარში ვიყავი, მამა რომ ჩამოვიდა, იქ გარდაიცვალა და იქიდან ჩამოვასვენე, შვილი ხელში ჩამაკვდა და, სხვათა შორის, მამა მიქაელ ბოტკოველის მანქანით მივასვენე სახლში, იმ ბოტკოველის, დღეს რომ არ მიცნობს თურმე. ომი და ჭრილობები არ დამკლებია და რა ვიცი, კიდევ რა... ვამბობ, ბევრი ტკივილი გავიარე და კიდევ მეტს გადავიტან, მაგრამ არ ვწუწუნებ, რადგანაც ეს არ მჩვევია. ძალიან რომ მტკიოდა დაჭრილს, ვჩუმდებოდი და ამით ხვდებოდნენ, რომ მტკიოდა. არა უშავს, მაგრამ ხვალ, გნებავთ, მამა მიქაელმა, გნებავთ, ნებისმიერმა სხვამ რომ დამიძახოს ქუჩაში, სიყვარულით გადავეხვევი, რადგანაც, რასაც ის ჩემთვის საწყენს აკეთებს, იმავეს არ გავაკეთებ, სამაგიეროს მიზღვა, კაცობა არააა. ცხონებულმა ბიძაჩემმა ერთხელ მითხრა, ფიცხი ხარ და ისეთ კაცს არ გაარტყა ხელი, სამჯერ მაინც რომ ვერ შემოგიბრუნებსო. ციხეში ყოფნისას ჩვენს კათალიკოსს პატრიარქს მივწერე წერილი და ისიც ვიცოდი, რომ ეს წერილი შეიძლება, ვერ მისულიყო უწმინდესობასთან და ჩემს ადვოკატს ვთხოვე, დაენახა, რომ წერილი პირადად ხელში მისცეს პატრიარქს და დავრწმუნდებოდი, რომ უწმინდესი აუცილებლად წაიკითხავდა.

**— და წაიკითხა? რაზე შეამჩნიეთ?**

– წაიკითხა, რადგანაც ციხიდან გამოსული ერთ საათში ალმადგინა ხარისხში და დამაყენა წირვა-ლოცვაზე. წერილში ვწერდი, რომ შენდობას ვითხოვ და იმათაც ნუ დასჯი, ვინც ეს გააკეთამეთქი. თუმცა, კონკრეტული გვარები არ ჩამიწერია, ასე ვგრძნობდი, თორემ ქულები კი არ ჩამიწერია მის თვალში? მერე რაც მოხდა, ამაშიც დამნაშავე ვარ, რადგანაც ხმა არ ამომიღია: სადაც მივედი, ყველგან გამომაგდეს მღვდლებმა, არ არის შენი ადგილიო, ამ დროს სკოლებში რელიგიას ვასწავლიდი, მინდოდა, ბავშვებს ლოცვა და მოწყალების გაღება სცოდნოდათ. მოვერიდე, რადგანაც არ მინდოდა იმის დაფიქსირება, რომ მღვდლები ერთმანეთს ჭამენ და ისევ მე დავიხიე უკან. მე არავის ვჭამ, მაგრამ უზნეობას ვებრძვი! კონკრეტულ პირს არ ვასახელებ, მაგრამ რელიგიის კანონზე მოაწერა ხელი სააკაშვილმა. შენ სინოდის კრებაზე ამას რომ დაეთანხმე, ანტიდისკრიმინაციულ კანონს რომ 112 კაცმა მოაწერა ხელი და შენ სინოდის კრებაზე რომ შეცვალე აზრი, თუმცა პატრიარქი ბრძანებდა, არ მოაწეროთ ხელიო, ევროპის ასოცირებას რომ ხელი მოაწერე და რომ წაკითხული არ გაქვს, რას მოაწერე ხელი, და იმ მუხლებს რომ ჩვენ არავინ გვითარგმნის, რა მუხლებია ეს, აი, იმას ვებრძვი!

**— გარდა ამისა, გული მაქვს გახეთქილი, უცხოელებს ნება ისევ დართეს, ქართული მიწების ყიდვის...**

– აგაშენა ღმერთმა (ყვირის), ეკა გიგაური! იმ 300 არაგველიდან, უმრავლესობას შეადგენდნენ გიგაურები და ამას რა დაემართა? რა უნდა ამ გიგაურს? რატომ უნდა, მაინცდამაინც უცხოელმა იყიდოს ქართული მიწა? და საკონსტიტუციო სასამართლო ამას მიესალმება? გეტყვით, აქ რა მოხდა: „ქართული ოცნება“ რომ მოდიოდა, ავტორიტეტის ასამაღლებლად ბატონი ბიძინას პრემიერობის დროს გაუქმდა ეგ კანონი, ამ დროს დროებითი იყო ის გაუქმება, ახლა ამათ მოხსნეს. აგერ, თქვენი რედაქციის ახლოს ცხოვრობს კახელების ერთი შესანიშნავი და წესიერი ოჯახი, მოსკოვიდან დაბრუნდნენ საქართველოში, აღარ გვინდა რუსეთში ცხოვრებაო და თავის რაიონში, გურჯაანში 40 ჰექტარი მიწა აქვთ ინდოელიდან იჯარით აღებული, ხალხო! გურჯაანელის მიწის პატრონი ინდოელია და ხომ კარგია?! და ევროკავშირში გვინდა შესვლა? ჯერ არსად წამიკითხავს, ერს ასე ეზეიმოს გაუპატიურება! რა გეზეიმება, ქვეყნის დაქცევას რომ მომიწერეს ხელი? და ზუსტად ამიტომ ვტოვებ ამ ქვეყანას. ამ ზნედაცემული ხალხის ქვეყანაში ცხოვრებას არ ვაპირებ. თუ მე საკუთარ სულს უნდა მივხედო, და ჩემი ხმალაობა არავის აინტერესებს, მაშინ ვიცი, სულს სად უნდა მივხედო და ზუსტად იქ მივდივარ, სადაც ამისი წამალია! არ მივდივარ „საგულაოდ“ და სატრიშინოდ.

**— რამდენი წლით იქნებით იმ ქვეყანაში?**

– არ ვიცი, შეიძლება, ორ კვირას ვერ გავჩერდე, თუმცა იქაც მართლმადიდებელი მრევლია, ქართველიცაა იქ, ბერძენიც და რუსიც. სხვაგან როგორ გავძლებ, ეგეც ჯერ არ ვიცი, რადგანაც, სადაც არ უნდა ვიყო, ძალიან მეტკინება ჩემი ქვეყანა, მაგრამ შევეცდები, რომ კარგ ოსტატებს მივებარო და კარგი ალესვა ვისწავლო ხმლის, მერე უკან ჩამოვიდე უკვე ამ ალესილი ხმლით! და ლექსით დავამთავრებ: „შემოგცინებდი სიკვდილო, გულჯავრიანად მარები, ოღონდაც, როცა მიხმობ და სამზეოს მივეფარები. ჩემს უწინ, ჩემი მტრის სისხლმა შელეწოს, სულეთს კარები!“ ამას რომ ქალი გეტყვის და კაცს ტანში რომ არ გაგაჟრიალებს, შენი კაცობის საშველი აღარ არის და იქ დამთავრებულია ყველაფერი!



„ევროპის ასოცირებას რომ ხელი მოაწერე და რომ წაკითხული არ გაქვს, რას მოაწერე ხელი, და იმ მუხლებს რომ ჩვენ არავინ გვითარგმნის, რა მუხლებია ეს, აი, იმას ვებრძვი!“



„ეკა გიგაური! იმ 300 არაგველიდან, უმრავლესობას შეადგენდნენ გიგაურები და ამას რა დაემართა? რა უნდა ამ გიგაურს? რატომ უნდა, მაინცდამაინც უცხოელმა იყიდოს ქართული მიწა? და საკონსტიტუციო სასამართლო ამას მიესალმება?“

**თამარ ოქრუაშვილი**
599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## რიკოთის გვირაბში ღამის საათებში მოძრაობა აიკრძალება



რიკოთის საავტომობილო გვირაბში 4 დღის განმავლობაში ღამის საათებში ავტოსატრანსპორტო მოძრაობა შეიზღუდება. საავტომობილო გზების დეპარტამენტის განცხადებით: „თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის 143-ე კმ-ზე მდებარე რიკოთის საავტომობილო გვირაბში გეგმიური დასუფთავების სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებით 1, 2, 3 და 4 ივლისს, ღამის 00:00 სთ-დან დილის 06:00 სთ-მდე, იკრძალება ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა. სატრანსპორტო ნაკადის მოძრაობა განხორციელდება რიკოთის საავტომობილო გვირაბის შემოსავლელ გზაზე.

კლიმატური პირობების გაუარესების შემთხვევებში ავტოტრანსპორტის მოძრაობა განხორციელდება გვირაბის გავლით 24 საათის განმავლობაში“. – ნათქვამია განცხადებაში. (ნიუპოსტი)

## „ვაგზლის მოედანზე“ მოვაჭრეები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ

„ვაგზლის მოედანზე“ მოვაჭრეები გარე ვაჭრობას აპროტესტებენ. ის ადამიანები, ვინც ბაზრის ტერიტორიაზე ვაჭრობენ აცხადებენ, რომ მათ აღარ ეძლევათ ბიზნესის გაგრძელების საშუალება, რადგან გარე მოვაჭრეები საქონელს გაცილებით დაბალ ფასებში ყიდიან. მოვაჭრეებს შორის სიტყვიერი დაპირისპირებაც მოხდა. თუმცა მოგვიანებით საპატრულო პოლიციამ სიტუაციის განმუხტვა შეძლო. (ნიუპოსტი)



ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## შეიარაღებულ ძალებს 98 ოფიცერი შეემატა



საქართველოს შეიარაღებულ ძალებს 98 ოფიცერი შეემატა. მათ დავით აღმაშენებლის ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამწყობრო მოედანზე ღვთისა და ერის წინაშე ფიცი დადეს. მათ ოფიცრის პირველადი წოდება – ლეიტენანტი მიენიჭებათ.

ქვეით ოფიცერთა მომზადების კურსი 50 კვირას მოიცავდა, რომლის ფარგლებშიც მსმენელები სხვადასხვა სამხედრო დისციპლინას ეუფლებოდნენ. მიმდინარე წელს ქვეით ოფიცერთა მომზადების კურსზე 150 მსმენელი ჩაირიცხა. 35-კვირიანი სწავლების შემდეგ, კურსის მსმენელები სპეციალობების შესაბამისად, ქვეით ოფიცერთა მომზადებისა და ავიაციის უმცროს ოფიცერთა მომზადების კურსებზე გადანაწილდნენ.

ქვეით ოფიცერთა მომზადების კურსი, მსუბუქი ქვეითი სპეციალობით 80-მა მსმენელმა დაასრულა. ავიაციის უმცროს ოფიცერთა მომზადების კურსი, საავიაციო შეიარაღების ტექნიკოსის, საფრენი აპარატებისა და საავიაციო ძრავების ტექნიკოსის, საფრენი აპარატების საავიაციო და რადიოელექტრონული მოწყობილობების ტექნიკოსის სპეციალობით 18-მა მსმენელმა გაიარა.

კურსდამთავრებულები სხვადასხვა ქვედანაყოფში გადანაწილდებიან და საქართველოს შეიარაღებულ ძალებში გააგრძელებენ მსახურს. (ნიუპოსტი)

## აბაშიძე-კარასინის შეხვედრა 9 ივლისს პრაღაში გაიმართება



რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურ წარმომადგენელსა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს შორის სატელეფონო საუბარი შედგა.

„შევთანხმდით, რომ ქართულ-რუსული დიალოგის ფორმატში ჩვენი მორიგი შეხვედრა 9 ივლისს პრაღაში გაიმართება. დავადასტურეთ, რომ აღნიშნული არაფორმალური დიალოგის ფარგლებში 7 ივლისს, ასევე პრაღაში, გაიმართება საინფორმაციო-საექსპერტო შეხვედრა სავაჭრო ურთიერთობის საკითხებზე, რომელზეც განხილული იქნება 2012 წლის ბოლოდან დღემდე ამ სფეროში გაწეული სამუშაოს შედეგები და საქართველო-რუსეთის სავაჭრო კავშირების სამომავლო პერსპექტივები, მათ შორის 27 ივნისს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ხელმოწერილი ასოცირების შეთანხმების კონტექსტში“, – განაცხადა ზურაბ აბაშიძემ.

მისივე თქმით, საქართველოს მხრიდან 2-3-კაციან ჯგუფს ეკონომიკის სამინისტროს შესაბამისი დეპარტამენტის დირექტორი უხელმძღვანელებს. (ნიუპოსტი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge


# რას მოუტანს საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირთა დაცვის კონვენციასთან მიერთება?



საქართველო მოქალაქეობის უქონელ პირთა გაეროს 1954 წლის კონვენციას მიუერთდა. ეს ნიშნავს, რომ საქართველოს მთავრობა ვალდებულებას იღებს, დაიცვას მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებები, რომელთა რიცხვიც, გაეროს მონაცემებით, მსოფლიოში 10 მილიონს აჭარბებს. რა ვალდებულებებს გვაკისრებს კონვენცია და შეიძლება თუ არა საქართველოს გაურკვეველი წარმოშობის პირთა ქვეყანაში შემოსვლით პრობლემები შეექმნას?

**„ალიას“ პროფესორი გიორგი გოქსაძე ესაუბრა:**

**— ბატონო გიორგი, როგორი მდგომარეობაა საქართველოში, ზოგადად, მოქალაქეობის არმქონე პირებთან დაკავშირებით?**

– ზუსტი სტატისტიკა, რამდენი მოქალაქეობის არმქონე პირი გვყავს ქვეყანაში, უნდა ჰქონდეს იუსტიციის სამინისტროს. თუკი ვინმე არის, ისინი აუცილებლად იქნებიან აღრიცხულნი. საერთოდ, მოქალაქეობის არქონა ძალიან სპეციფიკური მომენტია მთელ მსოფლიოში, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ადამიანმა დატოვა ქვეყანა, ან მას ჩამოართვეს რომელიმე ქვეყნის მოქალაქეობა და იმ ქვეყანაში, სადაც ცხოვრობს, პასპორტი არ მიუღია. ასეთი ადამიანების რიცხვი მთელ მსოფლიოში მცირდება, ევროპაში პრაქტიკულად აღარ არიან, რადგან არსებობს საერთაშორისო დოკუმენტები და ყველა ქვეყნისგან მოითხოვენ, რომ შეამცირონ მოქალაქეობის არმქონე პირთა რიცხვი და მისცენ მათ იმ ქვეყნის მოქალაქეობა, სადაც ცხოვრობენ. თუ საქართველოში არიან ასეთი პირები, მათაც აქვთ მოქალაქეობის არმქონე პირის დოკუმენტი და საქართველოში ცხოვრების ნებართვა. ამ ორი დოკუმენტით რეგულირდება მისი ყოფნა საქართველოში.

**— კი, მაგრამ რაში გვჭირდება ასეთი ადამიანები, ჩვენი მოქალაქეებისთვის ვერ მიგვიხედავს როგორც საჭიროა...**

– მაგალითად, ერაყში დიქტატურა იყო და ვიღაცას ჩამოართვეს მოქალაქეობა. ცივილიზებულ სამყაროში მოქალაქეობის ჩამორთმევა არ ხდება, ეს ადამიანი დევნას გამოექცა, აღმოჩნდა საქართველოში, სადაც გახდა მოქალაქეობის არმქონე პირი. ჰუმანური საკითხია, რომ ის მივიღოთ, მაგრამ აქ არ უნდა აგვერიოს ერთი რამ: მოქალაქეობის არმქონე პირები არ არიან დევნილები, დევნილები სულ სხვა კატეგორიაა და სულ სხვა კონვენცია არეგულირებს მათ. ვთქვათ, ადამიანი ჩამოვიდა, განაცხადა, რომ ის დევნილი არ არის, დასახლდა საქართველოში, ყველა ქვეყანა ცდილობს, რომ ამ ადამიანს მისცეს დროებითი საცხოვრებელი და ნებართვა დროებით ცხოვრებაზე, თუ დააკვირდებიან და ეს ადამიანი კეთილსინდისიერია, ეძლევა მუდმივი ბინადრობის ნებართვა. ამის შემდეგ უქმნიან პირობებს ნატურალიზაციისთვის. თუ არადა, ამ ადამიანს გააძევებს ქვეყნიდან, მაგრამ არ შეიძლება გააძევოს იმ ქვეყანაში, სადაც მის სიცოცხლეს, ან თავისუფლებას ექმნება საფრთხე, ეს საერთაშორისო ნორმებით რეგულირდება.

**— ამ კონვენციით ჩვენ რა ვალდებულება ავიღეთ?**

– ვალდებულება ის იქნება, რომ ჩვენ უნდა დავიწყოთ რეგისტრაცია და გავიგოთ, ქვეყანაში რამდენი ასეთი ადამიანი გვყავს რეალურად, უნდა ვიცოდეთ, ამას ევროკავშირისკენ სწრაფვაც გვავალდებულებს. შემდეგ უნდა ვნახოთ, რა პირობები უნდა შევუქმნათ ამ პირებს, რომ ან საქართველოში იყოს, ან წავიდეს იმ ქვეყანაში, რომელშიც სურს. საუბარია იმაზე, რომ მივცეთ ბინადრობის უფლება, დროებითი მაინც. თუ მას კრიმინალური წარსული არ აქვს, მივცეთ ბუნებრივი ბინადრობის ნებართვა.

**— ამ მოქალაქეობის არმქონე პირებმა მასობრივად რომ მოინდომონ საქართველოში ცხოვრება, მერე რას ვშვრებით?**

– მასობრივი ეს ვერ იქნება, შეიძლება რამდენიმე ასეულმა მოითხოვოს, 200-300-მა კაცმა მაქსიმუმ.

**— თუნდაც 300 კაცი იყოს, ისინი დამატებით ტვირთად არ დააწვებიან ქვეყანას?**

– ისინი ისარგებლებენ იმ უფლებებით, რითაც ჩვენ ვსარგებლობთ. წარმოიდგინეთ თურქი, რომელიც საქართველოში ცხოვრობს და მუშაობს, იგივე უფლებებით სარგებლობს, მაგრამ ვერ იღებს არჩევნებში მონაწილეობას. თუ ქვეყანას აქვს კანონი, რომ მიწის გაყიდვა უცხოელებზე არ შეიძლება, არც მოქალაქეობის არმქონე პირებზე გაყიდიან. ანუ ისინი ისეთივე მოქალაქეები არიან, როგორც უცხოელები, რომლებიც ჩვენთან მუდმივად იცხოვრებენ.

**— უამრავი ფერადკანიანია ქვეყანაში. როცა ისინი შემოვიდნენ, მაშინ ამბობდნენ, რომ ევროპაში გადასვლა სურდათ, მერე ვერ გადავიდნენ და დარჩნენ აქ. მაგალითად, ნიგერიელს მალარია აღმოაჩნდა და პრობლემა გახდა, კრიმინალიც არაერთხელ მომხდარა. ამას კონვენცია როგორ დაარეგულირებს?**

– როცა უცხოელი შემოდის ჩვენს ტერიტორიაზე, სახელმწიფო ინსტიტუტი ვალდებულია, დაადგინოს, რის საფუძველზე შემოვიდა ის ჩვენთან. თუ ეს ადამიანი შემოვიდა რომელიმე ქვეყნიდან, სადაც დადასტურდა, რომ მის სიცოცხლეს, ან თავისუფლებას საფრთხე დაემუქრა, მაშინ ჩვენ ვალდებული ვართ, მივიღოთ იგი. მერე იწყება მისი საქმის განხილვა. შეიძლება ის რომელიმე მაღალგანვითარებულმა ევროპულმა ქვეყანამ წაიყვანოს, მაგრამ ეს ეხება, როგორც წესი, დევნილებს. მოქალაქეობის არმქონე პირები კი იცით, როგორი ხალხია? შემოვიდნენ, ჩვენმა უწყებებმა ყურადღება არ მიაქციეს, ერთი-ორი წელი იცხოვრეს, ლიბერალური კანონმდებლობა იყო რეგისტრაციის შესახებ და ამით დღემდე სარგებლობენ.

**— ისინი ბიზნესსაც ეწევიან, არაბების, თურქების, ირანელების კაფეები მომრავლდა. მათ ბიზნესს განსხვავებული რეგულაციები სჭირდება?**

– ისინი ისეთივე უფლებებით სარგებლობენ, როგორც უცხოელები. თუ ირანელი მაღაზიას ხსნის, მას უნდა ჰქონდეს დოკუმენტი, რომ აქვს უფლება, იცხოვროს საქართველოში. უბრალოდ ის განსხვავებაა, რომ მოქალაქეობის არმქონე პირები უფრო საწყლები არიან, რადგან მათ არც ერთი ქვეყანა არ იცავს, უცხოელებს კი იცავენ. ამიტომ უფრო მოწყვლადი ჯგუფია ეს ხალხი. ეს ყველაფერი ჰუმანიზმის სფეროდანაა, ამიტომ კარგია ეს მიერთება ამ კონვენციასთან, რადგან ევროპულ კანონმდებლობასთან ჩვენი კანონმდებლობის ჰარმონიზაცია მოხდება. რაც მეტ ასეთ ადამიანს აღმოვაჩენთ, მათი გადაყვანა სხვა ქვეყანაში ადვილი იქნება, თუ მათ დავუმტკიცებთ, რომ არ გვაქვს კარგი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

**— რეალურად ჩვენი მოქალაქეებისთვის ვერ მიუხედავს მთავრობას და ეს დამატებით ფინანსურ პრობლემებს არ შექმნის?**

– ამას არანაირი სოციალური და ეკონომიკური პრობლემის შექმნა არ შეუძლია. კარგია ნამდვილად ამ კონვენციასთან მიერთება.

**ჟანა ასანიძე**
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „ნაცმოძრაობა“ უნდა განეიტრალდეს!“




კოალიცია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, მერაბ შათირიშვილი თვლის, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ უნდა განეიტრალდეს.

„პოლიტიკურ რინგზე ორი ძალაა, „ქართული ოცნება“ და „ნაციონალური მოძრაობა“. აუცილებელია, რომ ერთ-ერთი ძალა, „ნაციონალური მოძრაობა“ განეიტრალდეს და ახალი ძალა გამოჩნდეს. თუ ეს ასე არ მოხდა, ვფიქრობ, რომ ქართველი ხალხი ორივე „მოკრივეს“ დაასვენებს“, – განაცხადა შათირიშვილმა.

ცნობისთვის: მერაბ შათირიშვილმა საზოგადოებრივი მოძრაობის „ქართული სინამდვილე – ერისკაცთა სათათბირო“ შექმნა. მისი თქმით, მოძრაობა კოალიცია „ქართული ოცნების“ ბაზაზე შეიქმნა და იმ ადამიანებს აერთიანებს, რომლებიც „კოალიციამ გაანაწყენა და უმადურად მოექცა“. (რეპორტიორი)

## პროკურატურა უგულავასთვის გირაოს გარდა, პასპორტისა და პირადობის მოწმობის ჩამორთმევასაც ითხოვს



პროკურატურა გიგი უგულავასთვის აღმკვეთ ღონისძიებად 50 000-ლარიანი გირაოს შეფარდების გარდა, მისთვის პასპორტისა და პირადობის მოწმობის ჩამორთმევასაც ითხოვს.

საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსის მოადგილის, მერაბ გამყრელიძის განცხადებით, შესაბამისი შუამდგომლობით პროკურატურამ სასამართლოს უკვე მიმართა. (ნეწს.გე)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „ვიღაც „რემენაზე“ საუბარი ჩემი მხრიდან ცოტა არასერიოზულია“



შს მინისტრი ალექსანდრე ჭიკაიძე „ნაციონალური მოძრაობის“ იმ ბრალდებებს გამოეხმაურა, რომლის თანახმადაც, საქართველოში კრიმინალური ავტორიტეტების შემოსვლას ხელისუფლება მფარველობს.

„ჩემი მხრიდან ცოტა უხერხულია კომენტარის გაკეთება. ქურდული ტრადიციების მიმდევარმა პირებმა რომ საქართველოში თავი წამოყონ, ეს გამორიცხულია. მათ წინააღმდეგ ჩვენი დანაყოფები აქტიურად და დაუნდობლად იბრძვიან და გამორიცხულია ასეთი რამ. ვიღაც „რემენაზე“ საუბარი ცოტა არასერიოზულია ჩემი მხრიდან“, – განაცხადა ჭიკაიძემ.

რაც შეეხება „ნაციონალური მოძრაობის“ მოთხოვნას, რომ აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით ვიცე-პრემიერი კახა კალაძე დაიკითხოს, ჭიკაიძე აცხადებს: „ბატონი კახის დაკითხვა, ვიღაცის განცხადების გამო, ცოტა არასერიოზულია“, – განაცხადა ჭიკაიძემ. (რეპორტიორი)

## ვინაა ნახევრად შიშველი მამაკაცი კანცელარიის შენობაში?



სოციალურ ქსელში გავრცელებულ ფოტოზე, რომელზეც მთავრობის კანცელარიის შენობაში შიშველი მამაკაცია ასახული, მთავრობის პრესსამსახურში განმარტებას აკეთებენ: „შენობაში მეოთხე, მეხუთე და მეექვსე სართულებზე არის რემონტი და ფოტოზე ასახული ადამიანი არის მუშა, მათ, მოგეხსენებათ, არ მოეთხოვებათ რაიმე დრესკოდის დაცვა“, – განაცხადეს პრესსამსახურში.

ცნობისთვის, აღნიშნული ფოტო სოციალურ ქსელში გოგა ხაჩიძემ გაავრცელა. (ნეწს.გე)

# საჯარო სამსახურში მიღების წესები იცვლება



**საჯარო სამსახურის ბიურომ საჯარო სამსახურის რეფორმის კონცეფციის პრეზენტაცია გამართა. რეფორმა მიზნად ისახავს გამართული და გამჭვირვალე საჯარო სამსახურის სისტემის ჩამოყალიბებას და ისეთი საკითხების რეგულირებას, როგორიცაა: საჯარო სამსახურში დასაქმებული პირები; საჯარო სამსახურის მართვის, კოორდინაციისა და ზედამხედველობის ცენტრალიზებული სისტემა; საჯარო სამსახურში მიღება; კლასიფიკაციის სისტემა; ანაზღაურების სისტემა; საჯარო მოხელეების მართვა და ა.შ.**

**„ალიას“ ესაუბრება საჯარო სამსახურის ბიუროს ხელმძღვანელი ეკა ქარდავა:**

– ეს არის ძირითადად ევროპული ქვეყნების მოდელი, როგორიცაა, მაგალითად, გერმანია, საფრანგეთი, იტალია, ბალტიისპირეთი, ამ ქვეყნების მაგალითზე, მათი რეფორმის განზოგადების შედეგად მოხდა ჩვენი რეფორმის მნიშვნელოვანი სისტემის ჩამოყალიბება.

ჩვენთვის საინტერესო იყო პროფესიული ინსტიტუტის არსებობა, რომელიც ერთგვარი დაცულობის ელემენტებით ხასიათდება. პროფესიული საჯარო მოხელე არის ის ბირთვი, რომელსაც უნდა დაემყაროს მთლიანად ქვეყანაში ერთიანი საჯარო სამსახური. მოხელე იწყებს თავის კარიერას ნულოვანი საფეხურიდან და თავისი კარიერული წინსვლის, შეფასების, სხვადასხვა სწავლება-გადამზადების, შედეგების გათვალისწინებით მიიწევს რანგების, კლასების შესაბამისად მაღლა და მაღლა. ეს არის პროფესიული მოხელის ის ინსტიტუტი, რომელსაც ემყარება ევროპული დოგმატიკა, და რომელიც ერთგვარად ნიშნავს პოლიტიკურ ნეიტრალიტეტს. ასეთი პირები დაცულები არიან პოლიტიკური ცვალებადობის შემთხვევაში განთავისუფლებისგან, უფლებების შეზღუდვისგან და ა.შ.

**— ბევრმა ადამიანმა წინა ხელისუფლების პირობებში შრომის წიგნაკი პირდაპირ პარლამენტში გახსნა. მსგავსი პრეცედენტებისგან ამ რეფორმის შედეგად რამდენად ვიქნებით დაცული?**

– დავიწყოთ იქიდან, რომ პარლამენტის წევრები არ მოიაზრებიან პროფესიული საჯარო მოხელის ინსტიტუტში, პარლამენტის აპარატში დასაქმებული პირები არიან საჯარო მოხელეები, მაგრამ არჩევითი თანამდებობები, როგორიცაა დეპუტატი, არის პოლიტიკური არჩევითი თანამდებობა, ამიტომ ამ რეფორმის შინაარსს არ ექვემდებარება მათი საკითხი. მათ სპეციალურად არეგულირებს შესაბამისი კანონმდებლობა. იგივე პარლამენტის წევრობასთან დაკავშირებით კონსტიტუცია გვეუბნება, რა ასაკიდან შეიძლება იყოს არჩეული პარლამენტის წევრი. ამიტომ პროფესიით მოხელის ცნება და არჩევით პოლიტიკურ თანამდებობაზე პირის გამწესება აბსოლუტურად სხვადასხვა საკითხებია და ერთობლიობაში ვერ განვიხილავთ.

**— დანიშვნით თანამდებობაზეც მსგავსი სიტუაცია იყო წინა ხელისუფლების პირობებში. „კმარელი“ გოგო-ბიჭებით გაავსეს სამინისტროები და პროფესიონალები ქუჩაში გამოყარეს....**

– ბუნებრივია, როცა კანონი იარსებებს, მსგავსი პრეცედენტებისგან აბსოლუტურად დაზღვეულები ვიქნებით. ჩვენ ვამბობთ, რომ კადრების შემოდინება მოხდება დაბალ საფეხურზე, დაბალი რანგის თანამდებობებზე, ხოლო საჯარო სამსახურებში დაბალ და მაღალ რანგებზე პირების გამწესება მოხდება დაწინაურების წესით, რაც ერთგვარად შიდა კონკურსის წესით განისაზღვრება.

**— ანაზღაურებასთან დაკავშირებით როგორ მოხდება? თუ მაღალი რანგის პროფესიონალი გყავთ, ესე იგი, ლოგიკურად, უნდა მიეცეს მაღალი ხელფასი და დაბალი რანგის და პროფესიონალიზმისას - დაბალი. აქ ჩნდება კითხვა, რატომ უნდა გააჩეროთ დაბალი პროფესიონალიზმის მქონე ადამიანი სამსახურში, როცა მისი ჩანაცვლება შეგვიძლია მაღალპროფესიონალური კადრით?**

– ეს საკითხი რეფორმის შინაარსს ოდნავ ცდება, თუმცა მესმის, რომ დღევანდელ რეალობასთან დაკავშირებით გაგიჩნდათ ეს კითხვა. დღეს არ შექმნილა საჯარო სამსახური ქვეყანაში, არ იყო ის თავისუფალი პოლიტიკური ნებისა და შეხედულებისგან და ასეთი დაბალკვალიფიციური კადრები არის ნაყოფი იმ 90-იანი წლებიდან მომდინარე და სწორედ ეს გვინდა შევცვალოთ, ამიტომაც ვაკეთებთ ამ რეფორმას და ვათავისუფლებთ საჯარო სამსახურს პოლიტიკური წნეხისგან.

**— გასაგებია, მაგრამ 2-3 წლის წინათ დანიშნულ მოხელეს ხომ ამბიცია ექნება, როცა ეტყვიან, თავისუფალი ხარო. როგორ აუხსნით, ეს რეფორმამ მოიტანაო?**

– ამისთვის არსებობს შეფასების სისტემა, ატესტაცია, რომელიც დღეს მოქმედი კანონითაც გვაქვს ჩვენ გაწერილი. ეს იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ დაბალკვალიფიციური კადრი, თუ ის ვერ დააკმაყოფილებს მინიმალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, შესაბამისად, განთავისუფლდება სამსახურიდან, მაგრამ ეს არის შემდგომი ეტაპი, ამიტომ მე არ ვამბობ, რომ აუცილებლად მოხდება ე.წ. საკადრო წმენდა საჯარო სამსახურიდან. ჩვენ ვსაუბრობთ დღეს რეფორმაზე, როგორი გვინდა, იყოს საჯარო სამსახური, მაგრამ არსებული სიტუაციიდან გამომდინარე რა მიდგომა იქნება შემოთავაზებული, ეს კიდევ შემდგომი მსჯელობის საგანი გახდება.

**— ატესტაცია მოხდებაო, ამბობთ, ვინ გადაწყვეტს ამა თუ იმ ადამიანის კვალიფიკაციის ბედს და რამდენად ობიექტურად ჩატარდება? წლებია გვესმის, რომ ატესტაციები შირმაა და სამსახურებში ჩაწყობით იღებენ...**

– ეს უნდა გადაწყვიტოს შეფასების სისტემამ, არ იქნება ერთი და ორი ადამიანის სუბიექტურად გადასაწყვეტი, როგორც არის ეს დღეს. მოხელეების შემოწმება წელიწადში ერთხელ მოხდება. მათი შედეგების გათვალისწინებით მოხდება ადამიანური რესურსების სწორი მართვა და მერე – გადაწყვეტილების მიღება შემდგომში მათი დაწინაურების მიზნით. ან მოხდება მისი გადამზადება, კვალიფიკაციის ამაღლება რაღაც კონკრეტულ სეგმენტში, მაგალითად, შეიძლება ადამიანმა კარგად იცოდეს კონკრეტული უნარჩვევები, მაგრამ იგივე ეთიკაში სჭირდებოდეს გადამზადება, მარტო ერთ რამეში მოუმზადებლობის გამო ხომ ვერ გავათავისუფლებთ პირს სამსახურიდან? მით უმეტეს, როცა საუბარია ინსტიტუტის გაძლიერებაზე, მაღალ კვალიფიკაციაზე, სტაჟზე. სხვადასხვა მექანიზმი იდება კანონში.

**— ვაკანსიების ნაწილში ხომ არაფერს ცვლით, ისევ კონკურსის შედეგად აიყვანთ საჯარო სამსახურში პირებს? როგორც ვიცი, როცა ვაკანსია ცხადდება, თითო ადგილზე ათობით განცხადება შედის ხოლმე.**

– ხვალიდან ახლებური ცხოვრების და ყველაფრის მოწესრიგების გარანტია არ გვაქვს. ის პრობლემები, რასაც ახლა მეუბნებით, არის არსებული მდგომარეობის მოწესრიგების თვალსაზრისით წამოჭრილი საკითხები. მე მესმის, რომ ახლა ეს აინტერესებს მკითხველს, მაგრამ დღევანდელი კონცეფციიდან ეს თემები ზოგადია, უნდა გადავიდეთ ორდონიან სისტემაზე, ჯერ მოხდება სერტიფიცირება და ვისაც ექნება კვალიფიკაციის შესაბამისი სერტიფიკატი, ის უკვე ირჩევს სასურველ უწყებას და მერე იღებს მონაწილეობას კონკურსში. ერთ ვაკანსიაზე შეიძლება მართლაც ათეულობით პრეტენდენტი იყოს და ეს აიხსნება ამ ვაკანსიის მომხიბვლელობით.

ჟანა ასანიძე

558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## ბენდუქიძემ „ნაცმოძრაობას“ წელს 27.775.00 გადაურიცხა



პოლიტიკური პარტიების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის სამსახურის ინფორმაციით, პარტია „ნაციონალური მოძრაობის“ ყველაზე მსხვილი შემომწირველი კახა ბენდუქიძეა. ეკონომიკის ყოფილმა მინისტრმა მიმდინარე წლის 15 მაისიდან 30 ივნისის ჩათვლით „ნაციონალური მოძრაობას“ 5 555-5 555 ლარი 5-ჯერ ჩაურიცხა. აღნიშნულმა თანხამ მთლიანობაში 27.775.00 ლარი შეადგინა. (რეპორტიორი)

## რა უნდოდა პრემიერს პროკურორების თათბირზე?



ბაჩო ახალაიას მეუღლის ანი ნადარეიშვილის ინფორმაციით, რამდენიმე დღის წინ პროკურატურაში თათბირი ჩატარდა, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ესწრებოდა. მისი თქმით, ირაკლი ღარიბაშვილმა თათბირზე კატეგორიულად მოითხოვა, რომ 26 ივლისს ბაჩო ახალაიამ ციხე არ უნდა დატოვოს.

„რამდენიმე პროკურორი ირაკლი ღარიბაშვილს შეეწინააღმდეგა და უთხრა, რომ ეს ყველანაირ კანონიერ ჩარჩოებს სცდებოდა და ეს იქნებოდა სასამართლოს მასხრად აგდება. ამის მიუხედავად, ღარიბაშვილმა კატეგორიულად უთხრა, რომ, თუ ვინმეს ეს პოლიტიკა არ მოსწონდა შეეძლოთ წასულიყვნენ. ასევე დაემუქრა, რომ ისინი საპატიმროში ბაჩო ახალაიასთან ერთად მოხვდებოდნენ“, – განაცხადა ნადარეიშვილმა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## უგულავა საქართველოში დაბრუნებას აღარ აპირებდაო



რატომ მოხდა წინასაარჩევნოდ ბრალის წაყენება გიგი უგულავასთვის, მაშინ როცა უგულავას მანამდე სამი ბრალდება ჰქონდა წაყენებული და ქვეყანაც რამდენჯერმე დატოვა ამ ხნის განმავლობაში?

„პოლიტიკის დროში“ ამ კითხვას საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ მერაბ გამყრელიძემ ასე უპასუხა:

„საგამოძიებო ორგანოებისთვის ცნობილი გახდა ინფორმაცია, რომლის თანახმად გიგი უგულავა აპირებდა ქვეყნის დატოვებას, აღნიშნული დადასტურებული იქნა იმით, რომ მის მიერ აღებული იქნა ბილეთები, ასევე მისი ოჯახის წევრს დატოვებული ჰქონდა საზღვარი და არსებობდა ინფორმაცია, რომ ის აღარ აპირებდა ქვეყანაში დაბრუნებას. არსებობდა საშიშროება, რომ მის მიერ ქვეყნის დატოვების შემთხვევაში, მისთვის წარდგენილი ბრალის დადასტურება ველარ მოხდებოდა, მასთან სხვა საპროცესო საგამოძიებო მოქმედებები ველარ წარიმართებოდა. მის მიმართ არის რამდენიმე ბრალი წარდგენილი, საჭირო იყო ბრალის დადასტურებისთვის გამოძიება და ამიტომ არსებობდა საჭიროება უგულავასთვის ბრალის წარდგენის“.

რაც შეეხება საკითხს, რით ამყარებს გამოძიება ბრალდებას, რომ სწორედ უგულავას მიერ იქნა არასწორად მითითებული შტრიხკოდი, რომლის შედეგად მოხდა არასწორად თანხის 40%-ის გადარიცხვა, დეპარტამენტის უფროსის მოადგილე აცხადებს, რომ წლებია უგულავა დანაშაულებრივ ქმედებებში იყო ჩართული და „სითი პარკის“ მიერ თანხები მისი მეგობრების ანგარიშებზეც ირიცხებოდა.

„ჩვენ არ უნდა მივუდგეთ საკითხს ისე, თითქოს უგულავამ მხოლოდ ერთხელ შეიტანა არასწორი კოდი, ეს წლებია გრძელდება. 2007-2011 წლიდან ის ჩართულია დანაშაულებრივ ქმედებაში. უგულავას მიერ შპს „სითი პარკისთვის“ გაფორმებული კაბალური პირობების შესახებ ცნობილი იყო, გამოძიების მიერ დადგენილია უგულავას სამეგობრო წრე, რომელსაც „სითი პარკმა“ გადაურიცხა საჩუქრად 300 ათასი ლარი, ხოლო შემდგომ ერთ-ერთ ფირმასთან გააფორმა თითქოსდა საკონსულტაციო მომსახურებაზე მილიონი ლარი, რომელი მომსახურებაც, ფაქტობრივად, არც გაწეულა. როცა ეს ხელშეკრულება გაფორმდა ქართულ კომპანიასთან, იგივე „სითი პარკს“ რამდენიმე უცხოურ კომპანიასთან გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულებები 800 ათას დოლარზე. ამასთანავე, გამოძიებას აქვს სხვა მტკიცებულებები და მოწმეთა ჩვენებები, რომელიც ადასტურებს გიგი უგულავას კონკრეტულ ინტერესებს სითი პარკში“, – განაცხადა გამყრელიძემ. (ნიუპოსტი)

## „აუ, რა მაგარი ბიჭია... სასწაული დრაივი აქვს“ — ვინ არის მამაკაცი, ვინც ინგა გრიგოლია მოხიბლა?



მოხიბლული ტელეწამყვანი „ფეისბუკის“ პირად გვერდზე ტელეკომპანია „მაესტროს“ გადაცემა „ბიზნესკონტაქტის“ წამყვანს, სანდრო ვეფხვაძეს პოსტს უძღვნის.

– აუ, რა მაგარი ბიჭია... რა მაგარი წამყვანი, „მაესტროს“ „ბიზნეს-კონტაქტი“)))))))) სასწაული დრაივი აქვს და რომ მოკვდე, ვერ გადართავ )))) მაგარი აღმოჩენაა თანამედროვე ქართულ ტვ-სივრცეში. მართლა სასწაული ბიჭია)))



ტიპი მაიძულებს, თავიდან ბოლომდე ვუყურო ყველა გადაცემას)))))) კარგები არიან და რაღაც ახლები))))), – წერს ტელეწამყვანი.

გრიგოლიას პოსტს თავად გიორგიც გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ მისთვის ეს სიტყვები დამატებითი სტიმული გახდება.

– ეს სტატუსი, როგორც მინიმუმ, გაორმაგებული დრაივის სტიმული/საწინდარია – ძალიან დიდი მადლობა, – დაწერა ვეფხვაძემ.

*ambebi.ge*

## ცოტა რამ ქართველი „მის ბიკინის“ შესახებ



როგორც უკვე ცნობილია, „მის ბიკინის“ გამარჯვებული 17 წლის მარიამ დონაძე გახდა, რომელიც ჩინეთში მიემგზავრება და საქართველოს სახელით წარდგება.

მარიამი უკვე წლებია, რაც მოდის სფეროში აქტიურადაა ჩართული. „ფეშენ შარმის“ მოდელს ხშირად უწევს პოდიუმზე გასვლა, ფოტოსესიები და სარეკლამო რგოლებში გადაღება. ამ სფეროში უკვე საკმაო გამოცდილებაც აქვს, რადგან მოდელობა 12 წლისამ დაიწყო.

– ძალიან მიყვარს ეს საქმიანობა, ამიტომ არ დავიწყებ წუწუნს მის სირთულეებზე, – ამბობს მოდელი, – თუმცა, როდესაც გადაღება გაქვს, მთელი 8 საათი კამერის წინ პოზირება ადვილი არ არის.

მარიამ დონაძე:



– პირველად ეკატერინე მგალობლიშვილის სამოდელო სააგენტო „კატრინში“ მივედი და ამ დღიდან დავიწყე სხვადასხვა კონკურსებში მონაწილეობა. ჯერ გავხდი „მის თბილისი 2009“ და შემდეგ უკვე მივიღე მონაწილეობა „მის საქართველო 2010“-ის კონკურსში (14-დან 18 წლამდე ასაკში), სადაც გავიმარჯვე და გავხდი ამ ტიტულის მფლობელი. ამის შემდეგ გავემგზავრე კოსტა-რიკაში საერთაშორისო კონკურსზე, სადაც 49 ქვეყანა მონაწილეობდა. მოვხვდი ათეულში, ამის შემდეგ კი გაიცა სულ 7 ნომინაცია. ერთ-ერთი მერგო მე და გავხვდი „მის მოდელი 2010“. სამოდელო კარიერაზე მართლაც სერიოზულად ვფიქრობ და ვოცნებობ, მუშაობა საზღვარგარეთ გავაგრძელო. თუმცა ვაპირებ, მქონდეს სხვა პროფესიაც – ძალიან მინდა გავხდე საერთაშორისო ურთიერთობის ფაკულტეტის სტუდენტი ან ტელე-რადიო ჟურნალისტი. ვფიქრობ, მოდელობის გარდა, სხვა პროფესიაც აუცილებელია ჩემი წარმატებებისთვის. ასევე, რაც შეეხება ჩემს სამომავლო გეგმებს, გეტყვით, რომ „მის თინეიჯერი“ 14-დან 18 წლამდე ასაკში გავხდი და ძალიან მინდა, რომ 17-დან 25 წლამდე მივიღო მონაწილეობა „მის საქართველოზე“. ვოცნებობ, წავიდე „მის მსოფლიოზე“ და ვასახელო ჩემი ქვეყანა.

*jolo.ge*

## ნანუკა ჟორჟოლიანი: „მიშას დაჭერის სურვილის გამო, ევროპელი პრეზიდენტის დაკავება ნუ გვიხარია“



ტელეწამყვანი ნანუკა ჟორჟოლიანი საფრანგეთის ექსპრეზიდენტის ნიკოლა სარკოზის დაკავების ფაქტს სოციალურ ქსელში გამოეხმაურა:

– სარკოზი კი შეჭამს კრუასანს 24 საათში მაქსიმუმ და თურმე მზეც ანათებს ეიფელს. ჩვენ რა ვქნათ, ჩვენ?! აქ რომ ისევ ზამთარია. ეხლა მთავარია, არ მოთოვოს.

ტყუილად გიხარიათ სარკოზის ამბავი, არ დაუჭერიათ. შეაყოვნეს პროცესზე, მაგრამ ეს სხვა თემაა. მიშას დაჭერის სურვილის გამო ევროპელი პრეზიდენტების დაკავებაც ნუ გაგვახარებს ასე. ტეხავს, – წერს „ფეისბუკზე“ ნანუკა ჟორჟოლიანი.

*kvira.ge*

## მიშო ელიავა: „საშუალება რომ მქონდეს, ყველას ცალ-ცალკე გეტყოდით“!



მიშო ელიავას პროექტიდან წასვლამ ძალიან ბევრ გოგონას დასწყვიტა გული. თაყვანისმცემლები კონკურსანტის „ფეისბუკის“ გვერდზე გააქტიურდნენ და გულისტკივილი სწორედ იქ დააფიქსირეს. მიშომ გულშემატკივრებს მადლობით უპასუხა...

მიშო ელიავა:

– მიხარია, რომ პროექტი დავტოვე ბედნიერი სიმღერით, პირველ რიგში, თუმცა უფრო მინდოდა მეორე სიმღერაც მოგესმინათ. ეს ის ეგოისტური მომენტია, როდესაც გიხარია, რომ ამდენ ადამიანს დასწყდა გული შენს წასვლაზე. ძალიან დიდი მადლობა, ხალხო, რომ ამდენი ხანი მედექით გვერდში. როდესაც სტიმული მეკარგებოდა, ვიხსენებდი, რამდენი კარგი გულშემატკივარი მყავს, რამდენი კარგი გვერდია შექმნილი მიშო ელიავასთვის, განსაკუთრებით ჩვენ გვიყვარს მიშო ელიავა!!! აი, აქ ვინც ხართ, ყველა ძალიან მიყვარხართ! რაღა თქმა უნდა, მადლობა ჩემს ნინოს, რომელსაც არ დაეზარა და ძალიან ბევრ რაღაცას უკეთებდა ორგანიზებას, მათ შორის ჩემს ხასიათსაც. მადლობა ჩემს მეგობრებს და უდიდესი მადლობა გიორგი გაბუნიას! რომელიც არის ისეთი მაგარი კაცი, რასაც ჰქვია კაცი, რომ წარმოდგენა არ გაქვთ. უზომოდ დიდი გამოცდილება მივიღე. ძალიან მიხარია, რომ საშუალება მქონდა, ამ ასაკში ასეთ მასშტაბურ პროექტში მიმეღო მონაწილეობა. კიდევ ძალიან დიდხანს შემიძლია მადლობების გადახდა, საშუალება რომ მქონდეს, ყველას ცალ-ცალკე გეტყოდით!

*newposts.ge*



## სოფო სააკაშვილი საქართველოს ტოვებს — „მე ჯერ სიკვდილს არ ვაპირებ“

„X ფაქტორის“ მორიგი ტური სოფო სააკაშვილმა დატოვა. სოციალურ ქსელში ბევრი აღნიშნავდა, რომ ქართველმა საზოგადოებამ სოფო გვარის გამო არ მიიღო და ამიტომ არ უმესიჯებდნენ. ყოფილი პრეზიდენტის მოგვარე კონკურსანტი არაერთხელ გადაარჩინეს მენტორებმა. მაყურებლის გადაწყვეტილებით, სოფო თითქმის ყველა ტურში ბოლო ადგილზე იყო.

სოფო სააკაშვილი:

– აქამდე ვერ მიხვდა, ხალხი, რომ არ ვარ მისი ნათესავი? მაგრამ არ მიკვირს. საქართველოში მაშინ აფასებენ, როცა კვდებიან და მე ჯერ სიკვდილს არ ვაპირებ (იღიმის). ნათესავი რომ არ ვარ, საქართველოში ეს გახადეს პრობლემა და რომ ვყოფილიყავი, არ ვიცი, რა იქნებოდა.

*reitingi.ge*

## თინა კანდელაკი: „ბევრს კატებზე ალერგია აქვს, აი, ფულზე კი ჯერ არ გამიგია“



რუსეთში მცხოვრები ქართველი ტელეწამყვანი თინა კანდელაკი „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე ხშირად დებს ხოლმე სხვადასხვა სტატუსებს. ამჯერად ის ადამიანების აზრთა სხვადასხვაობაზე წერს.

– ყოველთვის გამოიძებნებიან ადამიანები, რომლებსაც არ მოსწონთ, რას აკეთებთ და რომლებმაც „უკეთესად იციან, ეს როგორ უნდა გაკეთდეს“... მე ვისწავლე, ამ ყოველივეს მშვიდად მივუდგე. როგორც ამბობენ, მხოლოდ კნუტები უყვარს ყველას ერთნაირად“. აზრთა სხვადასხვაობა სწორედ კნუტების საყოველთაო სიყვარულმა გამოიწვია. „ვერ დაგეთანხმებით, არც კნუტები უყვარს ბევრს“, – პასუხობენ ტელეწამყვანს... „კნუტების ნაცვლად, ფული რომ ჩაგეწერათ, უფრო მართებული იქნებოდა, ბევრს კატებზე ალერგია აქვს, აი, ფულზე კი ჯერ არ გამიგია“, – აღნიშნავს ერთი.

*pia.ge*



## გიორგი გაბუნია: „მე ის სწორედ მაღალი კლასის რობოტს შევადარე“

„X ფაქტორის“ ნახევარფინალს მღელვარების გარეშე არ ჩაუვლია. პირველივე სიმღერის შემდეგ გიორგი გაბუნიას კრიტიკულმა შეფასებამ სტეფანე ძალიან გაანაწყენა. ტელეწამყვანმა სტეფანეს ფავორიტი მომღერალი სოფი სააკაშვილი მაღალი დონის რობოტს შეადარა.

გიორგი გაბუნია: „სოფი ძალიან კარგია, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა. ჩემზე სოფი ტოვებს იაპონური რობოტის შთაბეჭდილებას, რომელიც ძალიან კარგად არის დაპროგრამებული.

სტეფანე: „მე მინდა საზოგადოებას მივმართო, არ მოუკლან სტიმული ასეთი კრიტიკით ასეთ პროფესიონალებს, რომლებიც ასეთი მაღალი კლასის შემსრულებლები არიან... მეორე სიმღერაც თუ ასე შეაფასა, მაშინ გიორგი გაბუნიას ნამდვილად სამედიცინო დახმარება სჭირდება. სოფი არის მაღალი კლასის შემსრულებელი“.

გიორგი გაბუნია: „მე ის სწორედ მაღალი კლასის რობოტს შევადარე. ნამღერი სწორია, მაგრამ ჩემთვის ეს ნამღერი არის უსულო“.

*newposts.ge*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



სიტუაცია ერთ-ერთ სოფელში. დედამთილი:
– რძალო, აჭამე საქონელს?
– არა, დედა, ჯერ ისევ სძინავს თქვენს შვილს...

*****

ქმარი მივლინებიდან დაბრუნდა. შევიდა სახლში და საძინებლიდან უცნაურ ხმებს მოჰკრა ყური. ოთახში შევარდნილს საწოლზე შიშველი ცოლი დახვდა:
– რა გჭირს?
– გული მაქვს ცუდად, ვკვდები, სასწრაფო გამოიძახე!
მივარდა ქმარი ტელეფონს და შვილს შეეჩეხა:
– მამიკო, იცი, კარადაში ჩვენი მეზობელი გივი ბიძია ზის...
შეიხედა ოჯახის უფროსმა კარადაში და მეზობელი დაინახა, სრულიად შიშველი.
– აბა, შენ ყოფილხარ! ჩემი ცოლი სიკვდილის პირასაა, შენ კი ბავშვებს დახუჭობანას ეთამაშები!!!

*****

დედა შვილს ჭკუას არიგებს:
– რატომ იქცევი ასე ცუდად? ხომ იცი, რომ შენი ყოველი ცუდად მოქცევა ჩემს თავზე ერთ ღერ ჭაღარას აჩენს?
შეხედა შვილმა ერთიანად გაჭაღარავებულ ბებიას და:
– დედიკო, როგორც ჩანს, ბავშვობაში სულ ხელიდან წასული ყოფილხარ!..

*****

შეფი ხელქვეითს ეჩხუბება იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი გაუთავებლად ტელეფონზე საუბრობს.
– შეფ, მე ხომ სამსახურის საქმეებს ვაგვარებ?!
– კარგი, მაშინ გთხოვ, ნუ მიმართავ ჩვენს კლიენტებს „ჩემო ბაჭია“, „კუდრაჭა“, „ჩიტუნი“...

*****



– გოგონი, თქვენთვის არავის უთქვამს, რომ მერილინ მონროს ჰგავხართ?
– არა.
– ჰოდა, ძალიანაც კარგი, რადგან თქვენ გამოხოხებული არმენ ჯიგარხანიანი ხართ!!!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

## სუნთქვის გაგრილება კბილის პასტის გამოყენების გარეშეც შეიძლება?



ფასდაუდებელ დახმარებას პირად ჰიგიენაში ოხრახუში, რეჰანი, ქინძი, ილი, კამა და პიტნის ჩაი აღმოგიჩენთ.

სპეციალისტების განმარტებით, კამაში აღმოჩენილია დიდი რაოდენობით ქლოროფილი, ნივთიერება, რომელიც უსიამოვნო სუნის ყველაზე მძლავრი ლიკვიდატორია. შეიძლება მცენარის როგორც დაღეჭვა, ისე მისგან ნაყენის დამზადება და პირში გამოვლება.

ილის შემთხვევაში, სპეციალისტები ამბობენ, რომ საქმე გვაქვს ევკალიპტის ზეთის შემცველობასთან, რომელიც ძლიერი ანტისეპტიკია და შეუძლია არა მხოლოდ აუტანელი სუნის გაქრობა, არამედ ბაქტერიების განადგურებაც კი.

ასევე, საკმაოდ ძლიერი ანტისეპტიკია პიტნის ჩაიც და მას ყველა ზემონახსენები თვისების გარდა, დამატებით ისიც შეუძლია, რომ უმკლავდება ნადების გაჩენას, აფერხებს კბილების დაშლის პროცესს და ღრძილების ანთების განვითარებასაც.

ცხადია, მცენარეების ეს შესანიშნავი თვისებები მაინც კბილების საგულდაგულოდ წმენდის შემდეგ უნდა გამოიყენოთ, რადგან ჯაგრისის გამოყენებას სპეციალისტები მაინც ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ.

***dr20.ru***

## მეცნიერებმა დაამტკიცეს – ლუდი ძვლებს ამაგრებს



ვისაც ლუდის მიმართ განსაკუთრებული სიყვარული აქვს, მართლაც კმაყოფილი დარჩება ამერიკელი მეცნიერების ახალი დასკვნით, რომლის თანახმადაც ცნობილი ხდება, რომ ეს ალკოჰოლური სასმელი, თურმე, ძვლების გამაგრებას უწყობს ხელს.

– ლუდი მკვებავი ნივთიერებებით სავსე სასმელია, თუმცა ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, როგორი ხარისხის ლუდს არჩევთ, – ამბობენ კალიფორნიის უნივერსიტეტის სპეციალისტები.

როგორც ირკვევა, მათ დაადგინეს, რომ ლუდი დიდი რაოდენობით სილიციუმს შეიცავს, ნივთიერებას, რომელსაც ადამიანის ორგანიზმი ძალიან ადვილად ამუშავებს და ისეთი დაავადების განვითარებას აფერხებს, როგორიცაა – ოსტეოპოროზი.

ცნობილი ხდება ისიც, რომ ამერიკელმა მეცნიერებმა სილიციუმი თეთრ ლუდში უფრო დიდი რაოდენობით აღმოაჩინეს, რომელიც ქერისგან და სვიისგან იყო დამზადებული.

რაც შეეხება შავ ლუდს, როგორც ცნობილია, მის დასამზადებლად ქერი უნდა მოიხალოს, რის გამოც ნედლეული სასარგებლო თვისებებს კარგავს.

ამ აღმოჩენის ავტორები აღნიშნავენ, რომ ლუდის ზომიერ ფარგლებში მიღებას საკმაოდ დადებითი შედეგები მოსდევს, სასმელის გადამეტებულ მიღებას კი აუცილებლად ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება მოჰყვება.

***medkarta.com***

## აკუმულატორის ფუნქციას ავტომობილის... კორპუსი შეასრულებს



ბრიტანელმა მეცნიერებმა მართლაც რევოლუციური მასალის შექმნა შეძლეს, რომელსაც შეუძლია არა მხოლოდ მექანიკური ფუნქციების შესრულება, არამედ პარალელურად ელექტროენერგიის დაგროვების უზრუნველყოფაც.

როგორც ირკვევა, ამ მასალის გამოყენება ავტომობილის კორპუსის შესაქმნელადაც შეიძლება, რა დროსაც ის აკუმულატორის ფუნქციას შეასრულებს.

არსებული ინფორმაციის თანახმად, კომპოზიტური მასალა ნახშირბადის ბოჭკოებისგან და პოლიმერის ფისისგან შედგება. ამასთანავე, ენერგიის დაგროვების ან გაცემის შემთხვევაში, არ მიმდინარეობს ქიმიური რეაქციები.

რაც ყველაზეა მთავარია, დროთა განმავლობაში, ის არ სუსტდება და შესაბამისად, ენერგიასაც ყოველთვის საჭირო რაოდენობით აგროვებს, ეს კი, როგორც მოგეხსენებათ, არც ერთ აკუმულატორს არ ახასიათებს.

უფრო კონკრეტული ინფორმაცია ბრიტანელების გამოგონების შესახებ, სამწუხაროდ, არ ზუსტდება.

***autoportal.ua***

## მარსზე გაფრენა კოსმონავტებს სიცოცხლის 3 წელს მოაკლებს



სულ ცოტა ხნის წინ მოგიყევით, რომ „ნასამ“ მარსზე გაფრენის პროექტზე სერიოზული მუშაობა დაიწყო და წითელი პლანეტის დაპყრობის თარიღად 2030 წელი დაასახელა.

კაცმა არ იცის, ამერიკელების ამ ინფორმაციამ გაუჩინა რუს მეცნიერებს შურის გრძნობა თუ მხოლოდ კეთილშობილური მიზნებიდან გამომდინარე ჩაატარეს კვლევა, რომელზეც ქვემოთ უნდა მოგიყვეთ, თუმცა მათი დასკვნა საკმაოდ საინტერესოა და ახლავე ყველაფერში გაგარკვევთ.

– რადიაციული დასხივება, რომელსაც მარსზე ფრენის დროს კოსმოსური ხომალდის ეკიპაჟი მიიღებს, მათ სიცოცხლეს 2-3 წლით შეამცირებს, – ასეთია რუსი მეცნიერების უახლესი კვლევის შედეგი.

კერძოდ, ეკიპაჟი დაახლოებით 1000 მილიზივერტით დასხივდება, რაც თანამედროვე მედიცინის მონაცემებით, ადამიანის სიცოცხლეს, საშუალოდ, 2,5-3 წლით ამცირებს.

ის, თუ რამდენად ძლიერად დასხივდებიან კოსმონავტები, დამოკიდებულია რადიაციისგან დამცავ ტექნოლოგიებზე, ფრენის ხანგრძლივობაზე, მზის აქტიურობაზე, კოსმოსური რადიაციის დონეზე და ასე შემდეგ. საერთო ჯამში, მფრინავები დასხივებას ნებისმიერ შემთხვევაში მიიღებენ და საკმაოდ სერიოზულ საფრთხესაც შეუქმნიან საკუთარ თავს, თუმცა მარსის შესწავლის სურვილი იმდენად დიდია თანამედროვე სამყაროში, რომ აუცილებლად გამოიძებნება რამდენიმე ადამიანი, ვინც ასეთ მსხვერპლზე დაუფიქრებლად წავა.

***interfax.ru***

## იაპონელებს სპეციალურად მიცვალებულებისთვის... სასტუმრო გაუხსნიათ



არ იკითხავთ, რა ღირს მიცვალებულისთვის სასტუმროში ღამის „გათენება“? 12 ათასი იენი, რაც თითქმის 160 აშშ დოლარია.

მაინც, რა უნდათ მიცვალებულებს სასტუმროში და ვის უნდა მოუნდეს მკვდრების კომფორტულ ნომერში მოთავსება?

პირველ კითხვაზე პასუხის გაცემა ნამდვილად გაგვიჭირდება, რაც შეეხება მეორეს – მსურველი იმდენი ყოფილა, თურმე, წინასწარ არის საჭირო რიგში ჩადგომა.

როგორც ირკვევა, სასტუმროში სულ 18 ნომერია, რომლებშიც, როგორც ამბობენ, კომფორტული კუბოებია დასვენებული და მათში ჩაწოლის „ბედნიერება“ ყველას როდი შეუძლია ჰქონდეს.

სასტუმროს მფლობელები განმარტავენ, რომ მათ ძირითადად, ის ადამიანები აკითხავენ, რომლებიც კრემატორიუმების გადატვირთვის გამო, მიცვალებულებს თავის დროზე ვერ წვავენ და არც ის სურთ, მკვდარი სახლში დაასვენონ. თუმცა არიან ისეთებიც, ვინც 160 დოლარს მხოლოდ იმისთვის იხდის, რომ გარდაცვლილ ნათესავსა თუ მეგობარს პატივი მიაგოს და ძვირადღირებულ სასტუმროში ბოლოჯერ „გამოძინების“ საშუალება მისცეს.

***drunov.ru***

## ოთახის დალაგების მოთხოვნის გამო, 11 წლის ბავშვმა დედას პოლიციაში უჩივლა



აი, რომ ვამბობთ ხოლმე, ბავშვებისთვის გადამეტებული უფლებების მინიჭება არ შეიძლება, რადგან უფროსებს ეს ძალიან ცუდად შემოუბრუნდებათო, რატომ არავინ გვისმენს? ყველაზე საშინელი ის არის, რომ ევროპისა და ამერიკის მიმბაძველობით, ჩვენთანაც უსაზღვრო უფლებებს აძლევენ სკოლის მოსწავლეებს და რასაც ამით მოიმკიან, სულ თავიანთ ჯიშჯილაგს დაუტოვონ!

როგორც ირკვევა, 11 წლის გერმანელმა ბიჭუნამ პოლიციაში იმის გამო დარეკა, „მშობლები იძულებით შრომისკენ მიბიძგებენო“. და არ იკითხავთ, საიდან მოიფიქრა ეს სისულელე ბავშვმა? თურმე, დედას უთხოვია, საკუთარი ოთახი დაელაგებინა.

ბავშვის ვინაობა არ ზუსტდება. ცნობილია მხოლოდ ის, რომ მისი ოჯახი ბელგიისა და ნიდერლანდების საზღვრის სიახლოვეს ცხოვრობს.

იქაური პოლიციის ინფორმაციით, ტუტუცი და ზარმაცი ბავშვის მშობლებს პრობლემები არ შეექმნებათ, რადგან, როგორც აღმოჩნდა, ისინი შვილს გადასარევად ექცევიან. უბრალოდ, ხანდახან საკუთარ ოთახს ალაგებინებენ, რაც მის აღშფოთებას იწვევს.

***gazeta.ua***

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



1. კომპოზიტორი დიმიტრი ...
2. მეკობრეების მიერ გემის დაპყრობა
3. სახელმწ. ცენტრ. ამერიკაში
4. მითიური ცხენკაცი
5. მარიო პიუზოს ნაწარმოები
6. ქალაქი საფრანგეთში
7. წელზე შემოწყობილი ხელები
8. ხატმწერი ანდრეი ...
9. სპარსულიდან ქართულად ნათარგმნი ეპოსი
10. ძვირფასი ქვა
11. მომღერალი ... ჯაგერი
12. მომღერალი ჯონ ...
13. ... შეჯდა მწყერი ხესა
14. მეჭეჭების მოსაწვავი სითხე
15. მომღერალი ჯასტინ ...
16. იტალიელი ფერმწერი
17. გულიანი ნამცხ-ვარი
18. პატრუქიანი თოფი
19. მწვერვალი კავკასიონზე
20. მსახიობი ტომ ...
21. ხილი
22. იტალიელი მოქანდაკე
23. სომხეთის ძველი დედაქალაქი
24. ცხენის რძის სასმელი
25. ქართ. ეპოსის გმირი
26. ოპერა „... დალაქი“
27. მწერალი ... ტვენი
28. კლდიაშვილი. „... ღორები“
29. კოვბოის ქამანდი
30. სოხუმის ანტიკური სახელწ.
31. მსახიობი ანატოლი ...
32. თაფლისა და ნიგვზის ტკბილეული
33. მეტყველების ექიმი
34. წყლის ტრანსპორტი
35. ნაკრძალი ყირიმზე ... - ნოვა
36. ქალაქი დახრილი კოშკით
37. შტატი აშშ-ში
38. თივის დიდი გროვა
39. მსახიობი ოდრი ...
40. ... ხარისა რქებიც ხნავენო
41. მსახიობი ... ელიავა
42. პროვინცია ესპანეთში
43. მზის საათი მოედანზე
44. ამერიკული თოჯინა
45. ინგლისური ლუდი
46. ამ მდინარეში მოინათლა ქრისტე
47. დუმბაძე. „მარადისობის ...“
48. ოპერა „ევგენი ...“
49. ნიშნავს საწინააღმდეგოს
50. ... შვარცენეგერი
51. მეცნიერება თევზების შესახებ
52. შვიდი დღე
53. კომპოზიტორი ... კალმანი
54. „მატრიცა“ მიწისქვეშა ქალაქი
55. პირველი კოსმონავტი
56. მდინარე ინდოეთში
57. ... სულხიშვილი
58. მდიდრული აგარაკი
59. ფუტკრების სახლი
60. საბუნებისმეტყველო მეცნიერება
61. აზერბაიჯანის ფულის ერთეული
62. ... ყვითელაშვილი
63. დაღესტნური სოფელი
64. ათოსი, არამისი, ...
65. მხედველობის ორგანო
66. ბოსტნეული
67. გადია
68. ... ქრისა და ... კერავს
69. მხ/ფ „ნეილონის ... ხე“
70. აღმოსავლური საჭმელი
71. ოპტიკური მოვლენა უდაბნოში
72. ფოსო მელავის ქვეშ
73. სახელმწ. სანტომე და ...
74. ბურუსი
75. კომპოზიტორი რევაზ ...
76. მხატვარი ... და ვინჩი
77. მწერალი თეოდორ ...
78. ფოთოლი კანადის დროშაზე
79. დიდი საჯარისო შენაერთი
80. მეთიუ ბროდერიკი ფილმში
81. მომღერალი პერი ...
82. ერთიანი ნარდში
83. ... ტიმოშენკო
84. მისი დედაქალაქია დელი
85. საესტრადო სიმებიანი ინსტრუმ.
86. ვარსკვლავის წვეტი
87. ყვავილის ტკბილი წვენი
88. თაღი
89. განთიადი
90. უკანონოდ მონადირე
91. შიიზმის მიმდევარი
92. ავი ძაღლი
93. თავსამკაული
94. მსახიობი ... წულაძე
95. პატარა მრგვალი პური
96. მხ/ფ „უცხო ლეიტენანტი ...“
97. თევზის ჯიში
98. აფროდიტეს სატრფო
99. ჯიშების შერჩევით ახალი ჯიშის გამოყვანა
100. ქალაქი პაკისტანში
101. ცხიმოვანი სიმსივნე
102. მოცეკვავე ... დოლაბერიძე
103. ნორვეგიის სანაპირო უბე
104. მხ/ფ „... ტრეისი“
105. ფორტეს საპირისპირო
106. მშობიარობის დამხმარე
107. სპორტის სახეობა
108. თოვლის კრისტალი
109. ვერდის ოპერა
110. სენი, ავი ქარი
111. მაჟორი და ...
112. დაკოდილი ცხენი
113. ტროპიკული ნაყოფი
114. გულიანი კანფეტი
115. „უდიპლომო სასიძო“ წეროძე
116. მსახიობი ... სპეისეკი
117. ქალაქი მდინარე ვოლგაზე
118. ჩოგბურთელი ... ნოა
119. ზოდიაქოს ნიშანი
120. ღრმული წყნარ ოკეანეში
121. ქმრის ძმა
122. მსახიობი ... ასანტე
123. რადიოლოკატორი
124. ... კუზანოვი
125. ... მორჩილაძე
126. რაჯ კაპური ფილმში
127. მსახიობი ... ზაქარიაძე
128. მწერალი ტომას ... რიდი
129. ამაში ხურდებს აგროვებენ
130. ერთგვარი ნაყინი
131. ... პოპესკუ გოპო
132. დიზაინერი ... კარდენი
133. ვარამი
134. რძის პროდუქტი
135. ყვავილი
136. საქმეში ჩადებული წილი
137. მიმართვა იაპონელი მამაკაცისადმი
138. მომღერალი დიმა ...
139. მსახ. ... ბერიკაშვილი
140. აივენჰოს სატრფო
141. „... ჩამოვიდნენ მთიდან“

[illegible]

**ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები**

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## იაპონელმა მეცნიერებმა დიაბეტის მკურნალობა ნივრის გამოყენებით დაიწყეს



ხანგრძლივი კვლევის შედეგად, იაპონელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ნიორს პირველ და მეორე ტიპის დიაბეტთან გამკლავება შეძლებია. ლაბორატორიულ თაგვებზე ჩატარებულმა ცდებმა მათ სისხლში გლუკოზას დონის შემცირება აჩვენა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ნივრის ანთების საწინააღმდეგო თვისებებით შესაძლებელია ენდოკრინული სისტემის ნორმალურად მუშაობის სტიმულირება. ასევე, სისხლში ინსულინის ჰორმონალური დონის კონტროლი.

იაპონელი მეცნიერები განმარტავენ, რომ ნივრის მთავარი კომპონენტები, რომლებიც დიაბეტთან გამკლავებას ახერხებენ, ვანადიუმი და ალაქსინია.



თაგვების შემდეგ, მეცნიერები ნივრის საფუძველზე დამზადებული პრეპარატის ადამიანებზე გამოცდას დაიწყებენ.

მიღწევის ავტორები განმარტავენ, რომ დიაბეტის მკურნალობას ინსულინის ინექციების ყოველდღიური გამოყენებით, ორგანიზმის გადატვირთვა მოსდევს. გარდა ამისა, შესაძლებელია გვერდითი ეფექტების გამოვლენაც. რაც შეეხება ნივრის საფუძველზე დამზადებულ პრეპარატს, როგორც იაპონელი მეცნიერები ამტკიცებენ, გაცილებით უსაფრთხოა და დიაბეტის დაძლევის გარდა, ადამიანის იმუნიტეტსაც გააძლიერებს.

როდის დაიწყება ცდების ადამიანებზე ჩატარება, სამწუხაროდ, არ ზუსტდება.

*lamaportal.ru*

## ლითონის მკვნეტელი კინაღამ ველოსიპედის პედალმა გაგუდა



დიალოგი სასადილოში: „ცხელი რა გაქვთ?". „ტაფა"...

აი, ეს ცნობილი ანეკდოტი ზუსტად სერბ ბრანკო ცრნოგორაცზეა ზედგამოჭრილი, რომელმაც მთელ მსოფლიოში სახელი იმით გაითქვა რომ ლითონის, პლასტმასისა და შუშის საგნებით იკვებებოდა. თუმცა ის ერთი კარგად ნაცნობი გამოთქმის ანტიპოდია: „ბებერი ხარისა რქებიცა ხნავენო"...

რა რქები და ხარი, კინაღამ დამხრჩვალა 80 წლის ბრანკო ცრნოგორაცი ველოსიპედის პედლით პირის „ჩაკოკლოზინებისას".

როგორც ირკვევა, ბრანკო ბაბუა ბოლო 20 წლის მანძილზე ლითონის, პლასტმასისა და შუშის საგნებით იკლავდა მადას, თუმცა ამიერიდან ამ უცნაურ დიეტაზე უარი თქვა, რისი მიზეზიც საკმაოდ საშიში ინციდენტი გახდა.

თურმე, ლითონის მკვნეტელს ველოსიპედის პედალი გაეჩხირა და მისი გადარჩენა ძლივს მოხერხდა.

როგორც თავად ბრანკო ცრნოგორაცი განმარტავს, ცოტა ხნის წინ მეგობრებს დაენაძლევა, რომ ველოსიპედს 3 დღეში შეჭამდა. თითქოს, თავიდან ყველაფერი რიგზე იყო, თუმცა, როცა უკვე პედალს მიუახლოვდა, ლითონის ნაჭერი ყელში გაეჩხირა და სასწრაფოდ საავადმყოფოში გადასაყვანი გახდა.

საბედნიეროდ, ექიმებმა უცნაური მოხუცის გადარჩენა შეძლეს, თუმცა ახლა თავად გახდნენ მოსასულიერებლები, როცა მის საჭმლის მომნელებელ სისტემაში 2 კილო ლითონი აღმოაჩინეს, მათ შორის, ორი ოქროს ბეჭედი.

საკმაოდ მძიმე ოპერაციის შემდეგ ბრანკო ცრნოგორაცმა გადაწყვიტა, რომ ლითონის და სხვა საკვებად უვარგისი ნივთების ჭამაზე უარი ეთქვა.

მისი მტკიცებით, ბოლო 20 წლის მანძილზე შეჭმული აქვს დაახლოებით 25 ათასი ნათურა, 12 ათასი ჩანგალი, 6 ათასამდე მუსიკალური ფირფიტა, 2,6 ათასი თეფში და 2 ათასამდე კოვზი.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

*lenta.ru*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**

**2 ივლისი:** ეს დღე პატარა გამარჯვებას მოგიტანთ, მაგრამ ის შეიძლება დამსახურებულ ტრიუმფადაც იქცეს. თუ ეს არ მოხდა, დაფიქრდით, იქნებ რამეა შესაცვლელი.

**კურო 22.04-21.05**

**2 ივლისი:** ამ დღის მშვიდად გატარება გაგიჭირდებათ. თუმცა ამისთვის მშვენიერი გამოსავალი არსებობს. ბავშვებთან და მხიარულ ადამიანებთან ურთიერთობა დიდ სიამოვნებას მოგანიჭებთ.

**ტყუპები 22.05-21.06**

**2 ივლისი:** თუ ზღაპრის რეალობად ქცევა გინდათ, იმოქმედეთ, არის ალბათობა, გამოგივიდეთ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**

**2 ივლისი:** ეს და შემდგომი რამდენიმე დღე უმჯობესია ვითარებასთან შეგუებას მიუძღვნათ და ტყუილად ნუ შეეცდებით რაიმეს შეცვლას.

**ლომი 23.07-22.08**

**2 ივლისი:** ყველაზე მეტად კარგი ამბების დეფიციტი შეგაწუხებთ. გული არ გაიტეხოთ, მართალია, მოგვიანებით, მაგრამ ასეთ ამბავს აუცილებლად გაიგებთ.

**ქალწული 23.08-22.09**

**2 ივლისი:** დღეს ფიცხი და თავშეუკავებელი იქნებით. დიდი სიფრთხილე გმართებთ, რომ თქვენდაუნებურად რამე მიუტევებელი არ ჩაიდინოთ.

**სასწორი 23.09-22.10**

**2 ივლისი:** რატომღაც, ფიქრობთ, რომ ბედმა მხოლოდ უსიამოვნებები გარგუნათ. დიდი ალბათობით, ეს დღე საპირისპიროში დაგარწმუნებთ.

**მორიელი 23.10-21.11**

**2 ივლისი:** შესაძლოა, დღეს ნიღბების გარემოცვაში აღმოჩნდეთ. დიდი ძალისხმევა მოგიწევთ, რომ მათ მიღმა სახეები ამოიცნოთ, მაგრამ ეს ამად ღირს.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**

**2 ივლისი:** რაღაც პრობლემის მოგვარებით ვიღაცას დიდ სამსახურს გაუწევთ. აუცილებლად უნდა გაუმკლავდეთ ამას, მით უმეტეს, რომ მსგავს საკითხზე უკვე გიმუშავიათ. მხოლოდ პარალელის გავლებაა საჭირო.

**თხის რქა 22.12-19.01**

**2 ივლისი:** შეიძლება ძალიან ადვილად გადაგავიწყდეთ, რომ ადამიანებთან გაქვთ საქმე. შეეცადეთ, ადამიანები, რომლებთანაც ურთიერთობა მოგიწევთ, ისტერიკამდე არ მიიყვანოთ.

**მერწყული 20.01-18.02**

**2 ივლისი:** დღეს თქვენი ყველაზე ძლიერი მხარე შეუვალი ლოგიკა იქნება. ნუ მოელით იგივეს ადამიანებისგან, ვისთანაც ურთიერთობა მოგიწევთ.

**თევზები 19.02-20.03**

**2 ივლისი:** ენერგიის ნაკადი, რომელმაც აქამდე მოგიყვანათ და თქვენს ძალისხმევას თითქმის არ მოითხოვს, როგორც ჩანს, იწურება. იქნებ შეისვენოთ და მორიგ ტალღას დაელოდოთ. კარგი დღეა წყნარი გართობისთვის.

## 32-ტონიანი სატვირთოს მიერ გასრესილ მანქანაში მჯდომი დედა-შვილი... გადარჩა



ცხვარი და ხარი კი არა, მთელი ფარა უნდა გაწყვიტოს ბრიტანელმა ქალმა, რომელიც დედასთან ერთად სიკვდილს მართლაც სასწაულებრივად გადაურჩა.

იქაური მედიის ინფორმაციით, უზარმაზარი სატვირთო, რომლის წონაც თითქმის 32 ტონა ყოფილა, უეცრად გადაყირავდა და „პეჟო 107"-ს დაეცა, რომელიც ცომის გუნდასავით გააბრტყელა.

საგზაო შემთხვევის დროს ციცქნა ზომის მსუბუქ ავტომობილში ახალგაზრდა ქალი და მისი ასაკოვანი დედა ისხდნენ, რომლებიც საბედნიეროდ, მხოლოდ უმნიშვნელო დაზიანებებით გადარჩნენ.

უვნებლად გადაურჩა საგზაო შემთხვევას სატვირთოს მძღოლიც, თუმცა მსხვერპლი ავარიას მაინც მოჰყვა – ასეულობით ქათამი, რომლებიც სატვირთოს გადაჰყავდა.

*autonews.rbc.ua*

## ყინულიანი სასმელები შესაძლოა, ბაქტერიებით იყოს დაბინძურებული



დიდი ბრიტანეთის ჯანდაცვის სააგენტოს მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ყველაზე პრესტიჟულ რესტორნებშიც კი ძალიან დიდია იმის ალბათობა, რომ ყინულდამატებული სასმელები ჯანმრთელობისთვის საშიში ბაქტერიებით იყოს დაბინძურებული.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ასეთი პრობლემა მინიმუმ ყოველ მესამე რესტორანს აქვს.

სტატისტიკის თანახმად, გასული საუკუნის 90-იან წლებთან შედარებით, კუჭ-ნაწლავის პრობლემების შემთხვევები მინიმუმ 50 პროცენტითაა მოხშირებული. ერთ-ერთ მიზეზად კი სპეციალისტები ჰიგიენის ნორმების უგულებელყოფას ასახელებენ.

*medkarta.com*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



კოტემ, რომელიც დიდხანს უყურებდა, როგორ იწონებდა თავს დედა ახალ ქურქში, შეშფოთებულმა წამოიძახა:

– დედა, თუ ხვდები შენ, რომ ეს ქურქი არის საცოდავი, საწყალი ცხოველის სასტიკი წამების შედეგი?!

დედამ შეხედა კოტეს და მკაცრად უპასუხა:

– როგორ ბედავ საკუთარ მამაზე ასეთ ლაპარაკს?!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია" და „კვირის ქრონიკა"

ალია ≫ 211359457 კვირის ქრონიკა

დამფუძნებელი **გიორგი ბრეგვაძე**

რედაქტორი: **თამაზ ბესტავაშვილი**
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – **ტატა ბრეგვაძე**
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
**ილია ჭაჭავაძე** (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
**ლევან ბანეთიშვილი**

**გაზეთ „ალიაში"** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

**სარეკლამო სამსახური**
☎ 2-333-170
**577-444-442**
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.45